პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმიანი მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.

ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივნის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნოვრადდას“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებანი: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible] ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

ხუთშაბათი, 16 ივლისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 161 (1316)

დღიური

- გერმანიაში მოელიან საგარეო საქმეთა მინისტრის შტრეზემანის გადადგომას.
- იაპონიაში წინააღმდეგნი არიან ინგლისთან [illegible] მის.
- ინგლისი საზღვაო ბაზას აშენებს [illegible].
- საბერძნეთის ფლოტის უფროსად ინგლისელი დანიშნეს.
- ტოკიოში (იაპონია) გაიფიცა 5.600 მუშა.
- სკარბოროში შეიკრიბა ინგლისის სამთომადნო მუშების კონფერენცია.

პროლეტარული ანტანტა

(გერმანელ და შვედელ მუშების გამომგზავრების გამო)

ლენინგრადის მუშების მოწვევით ბერლინიდან გამოემგზავრა 13 ივლისს საბჭოთა კავშირში ორმოცდაცამეტი კაცისაგან შემდგარი მუშათა დელეგაცია. გუშინ კი სტოკჰოლმიდან წამოვიდა ჩვენსკენ ისევ მუშათა დელეგაცია, რიცხვით სამას კაცამდე. ორივე დელეგაციას და მათ შორის განსაკუთრებით გერმანელ მუშებისას, აქვს დიდი მნიშვნელობა იმ აგიტაციისა და მუქარის გამო, რომელსაც ეწეოდნენ გერმანელი რეფორმისტული კავშირების ხელმძღვანელები და სოციალ-დემოკრატები ამ დელეგაციის წინააღმდეგ, მათი გამომგზავრების წინააღმდეგ საბჭოთა რესპუბლიკებში.

იყო დრო, როდესაც გერმანელი მენშევიკები, ისევე როგორც სხვა ქვეყნის მენშევიკები, ავრცელებდნენ რა ყოვლად საზიზღარ ჭორებს ჩვენს შესახებ, ხატავდენ რა ჩვენს მდგომარეობას შავი ფერადებით, ურჩევდენ იმათ, ვისაც არა სჯეროდათ მათი ლათაიები, წასულიყვნენ „რუსეთში“ და თავიანთი თვალით ეხილათ თითქოს ის საშინელებანი, რომელთა შესახებ სწერდენ და ლაპარაკობდენ. ერთი სიტყვით იყო დრო, როდესაც თვით გერმანელი მენშევიკები ეწეოდნენ აგიტაციას საბჭოთა რესპუბლიკებში დელეგაციების გამოსაგზავნათ იმ იმედით, რომ დასკვნები მათი მოგზაურობიდან დაადასტურებდენ მათ წალაპარაკევს.

დღეს მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა. გერმანიის სოციალ-დემოკრატია არა მარტო კომუნისტებს არ ურჩევს საბჭოთა კავშირში წამოსვლას, ის ეწინააღმდეგება თვით მისი მიმდევარი მუშების გამომგზავრებას ჩვენსკენ, თუმცა მათ მაინც უნდა ენდობოდეს, რომ ისინი დაბრუნებისას არ აუმღვრევენ წყალს თავიანთ ბელადებს და არ მიაყენებენ მათ უსიამოვნებას. მიუხედავათ ამისა საქმე ისე შორს წავიდა, რომ მენშევიკები ემუქრებოდენ პარტიის წევრებს—პარტიიდან გარიცხვათ თუ „რუსეთში“ გაემგზავრეთო, ასეთივე განძრახვისთვის მეპატრონეები იმ დაწესებულებათა, სადაც ხდებოდა დელეგატების არჩევნები და რომელთა მუდმივი მუშები ეს დელეგატები არიან, ემუქრებოდენ მათ ადგილიდან დათხოვნით. ერთი სიტყვით ორნაირი საშინელება დაუყენეს წინ მეპატრონეებმა და მათმა დამხმარე მენშევიკებმა ჩვენსკენ მიმავალ დელეგატებს: ულუკმაპუროთ დარჩენა და პარტიიდან გამორიცხვა. მიუხედავათ ამისა, ეს ამხანაგები წამოვიდნენ და მალე ჩვენ ვიხილავთ მათ ჩვენ რიგებში სტუმრებათ.

ასეთი დამოკიდებულებით საბჭოთა კავშირში მუშების წამოსვლასთან, როგორც მეპატრონეები, ე. ი. ევროპის ბურჟუაზია, ისე ამ ბურჟუაზიის სოციალისტები ააშკარავებენ ჯერ ერთი იმას, რომ საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა ყოველმხრივ გაუკეთესდა და ეს მოახდენს მუშებზე კარგ შთაბეჭდილებას პროლეტარიატის დიქტატურის, ოქტომბრის რევოლიუციის და კომუნისტების სასარგებლოთ. გარდა ამისა ეს ამბავი მოწმობს იმას, რომ მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ გზას იკვლევს თანდათან, ღრმავდება და მიუხედავათ ბელადების მოწამლული აგიტაციისა, გერმანელი მუშები დამოუკიდებელ გზას ადგიან ამ საქმეში, აღარ უჯერებენ პარტიას, აღარ უშინდებიან მეპატრონეთა მუქარას და მოდიან ჩვენსკენ, საქმის ჭეშმარიტი ვითარების გამოსარკვევათ.

ჩვენ სიამოვნებით, ამხანაგური გრძნობით, რომელიც ემყარება კლასიურ სოლიდარობას, ვეგებებით გერმანელ და შვედელ მუშების ჩამოსვლას ჩვენს კავშირში. ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მათ მიერ ნანახი და გაგონილ განამტკიცებს მათში იმ აზრს, რომ საბჭოთა კავშირი არის დღეს ერთად-ერთი სახელმწიფო, სადაც შექმნილია პირობები პროლეტარიატის იდეალების თანდათანი განხორციელებისათვის და რომ საბოლოოდ ამ იდეალების გამარჯვებას ხელს უშლის ბურჟუაზიული და „სოციალისტური“ გარემოცვა. ჩვენ დარწმუნებული ვართ აგრეთვე, რომ ამ რწმენიდან ევროპიელი მუშები გამოიტანენ შესაფერის დასკვნას ბრძოლის სასარგებლოთ როგორც თავიანთი ბურჟუაზიის, ისე „სოციალისტების“ წინააღმდეგ, დასკვნას ჩვენთან სოლიდარული, მთლიანი ფრონტით გამოსვლისას მსოფლიო ბურჟუაზიისა და მისი ლაქიების წინააღმდეგ.

მიწად-მოწყობის შესახებ *)

(ცაკის სესიის გამო)

ჩვენი სოფლისათვის მიწად-მოწყობის საქმე პირველხარისხოვანი საკითხია. ჩვენმა ხელისუფლებამ ეს საკითხი გადაუდებელ საკითხათ უნდა დააყენოს და გამოიმუშავოს ის ღონისძიებანი, რომელიც შეანელებს იმ უკმაყოფილებას, რომელსაც ადგილი აქვს თითქმის ყველგან საქართველოში.

აგრარული რევოლიუციამ ჩვენ მოგვცა დიდი შედეგები. მაგრამ მიწის საკითხი სავსებით არ არის მოგვარებული; რეფორმის შედეგებით უკმაყოფილონი არიან ისინი, რომლებსაც ჩამოერთვათ მიწა და ისინიც, ვისაც დაურიგეთ მიწა; რა იყო ამის მიზეზი? მიზეზი იყო სოფლად მიწკომებზე ნაკლებ ხელმძღვანელობის გაწევა; სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილებას თავიდანვე არ ჰყავდა სათანადო შტატი მიწისმზომელებისა, რამაც დიდათ შეაფერხა მიწად-მოწყობის საქმე, ადგილობრივი კომიტეტები ყოველივე ინსტრუქციის გარეშე აწარმოებდენ მუშაობას და დაუშვეს ისეთი შეცდომები, რომლების გამოწორება შეიძლება ათეულ წლების მუშაობის შემდეგ. ადგილობრივი მიწკომები ართმევდნენ ადგილ-მამულებს თავის მიხედვით, არავითარ არსებულ წესებს ისინი არ ემორჩილებოდენ და როდესაც უკმაყოფილო ეგრედწოდებული „ბობოლა“ გლეხი მოდიოდა მაზრაში განყოფილების გამგესთან და განყოფილების გამგე ახსნა-განმარტების შემდეგ, რომელსაც ის ღებულობდა ადგილებიდან, არსებულ კოდექსის ძალით უბრუნებდა მესაკუთრეს ჩამორთმეულ მიწის ნაკვეთს. ადგილობრივი მიწკომი კი არ აბარებდა მესაკუთრეს ჩამორთმეულ მიწას. ასეთი მაგალითი იყო უამრავი. ილიუსტრაციისათვის მოვიყვან მაგალითს ჯერ სენაკის მაზრიდან და მერე გორის მაზრიდან.

სენაკის მაზრის ძველ-სენაკის თემში ს. კოტიანეთში ჰქონდა ადგილი შემდეგ მოვლენას: ერთ-ერთ მესაკუთრეს ადგილობრივმა მიწკომმა ჩამოართვა 5 ქცევა ადგილი. მაზრას საადგილ-მამულო განყოფილებამ, გაითვალისწინა რა მესაკუთრის ოჯახური მდგომარეობა (ცხრა სული), დაუბრუნა მას ჩამორთმეული ადგილი და იმ წელს მისცეს მას საშუალება ადგილის დამუშავებისა; მეორე წელს ადგილობრივმა მიწკომმა ისევ ჩამოართვა ზემოაღნიშნულ მესაკუთრეს იმ მოტივით, რომ ის ადგილი გამოდგებოდა სამოსახლოდ, მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებამ მეორე ადგილის საფონდო ადგილიდან დააკმაყოფილა მესაკუთრე, რომელმაც მიცემული ადგილი დახნა და დათესა, მაგრამ ადგილის დამუშავების შემდეგ ადგილობრივ მიწკომმა ისევ ჩამოართვა მიცემული ადგილი და მესაკუთრე აღარ დაუშვა. მესამე წელს მაზრამ ისევ დაუბრუნა შარშანდელი საფონდო ადგილიდან მიცემული მიწა (არა თავისი ყოფილი მამული), რომელიც მან დახნა და დათესა, მაგრამ ადგილობრივ ხელისუფლებამ ის მესაკუთრე ადგილის დამუშავების შემდეგ აღარ დაუშვა სამუშაოდ და მასზე მიცემული ადგილი გაანაწილა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოფილი მესაკუთრე მეორე თემის მცხოვრებია.

მეორე მაგალითი გორის მაზრიდან: სურამის თემში 5—6 მოსახლე გლეხებს ჩამოერთვათ ადგილები, ვითომდა როგორც ზედმეტი ნორმა, სინამდვილეში არსებულ კანონის ძალით მათ ადგილ-მამული არ ერთმევოდათ. როდესაც მათ გაასაჩივრეს მაზრაში და ითხოვეს მიწისმზომელი, მათ ცოტა ყურადღება მიაქციეს იმ მხრით, რომ ისევ ადგილობრივ მიწკომებს დაევალა საქმის მოგვარება. უკმაყოფილო გლეხობა გაემგზავრა თბილისში მიწად-მოქმედების მაშინდელ კომისართან ამხ. ვ. სტურუასთან, რომელმაც დაახლოვებით მათ თხოვნას შემდეგი რეზოლიუცია დაადო: დაევალოს გორის საადგილ-მამულო განყოფილებას ადგილობრივად მიწისმზომელების საშუალებით საქმის მოგვარება არსებულ მიწის კოდექსის ფარგლებში. მაგრამ მიწისმზომელები მაინც არ იქნენ გაგზავნილი და საქმის მოგვარება ისევ გადაეცა ადგილობრივ მიწკომს.

ეს ფაქტები, მართალია, წარსულ დროშია მომხდარი, მაგრამ იგივე მეორდება დღესაც. ჩვენს სინამდვილეში არის დაშვებული შეცდომები, რომლის გამოსწორებისათვის საჭიროა მიწად-მოწყობის დაჩქარება მაზრებში.

მიწის საკითხი არ არის მოგვარებული და შეცდომების გამოსწორება ძალიან ძნელია, მიწების ჩამორთმევა სწარმოებდა უსისტემოდ. მდგომარეობა მიწად-მოწყობის დარგში ძალიან რთულია, გლეხობა მოითხოვს დაშვებულ შეცდომების შესწორებას და ხელისუფლებამ ეს შეცდომები უნდა გამოასწოროს სასწრაფოდ.

ამისათვის საჭიროა მიწისმზომელები, მაგრამ თუ მათი მდგომარეობა ძველებური დარჩა, ჩვენ იმათ ვერ დავაინტერესებთ და ვერ შევქმნით მათ კადრებს. მათი ჯამაგირი ეხლა განისაზღვრება 40—60 მანეთით. მე მხედველობაში მაქვს ძირითადი ხელფასი. საუკეთესო ნაწილი მიწისმზომელებისა სავსებით ჩამოშორდა ამ პროფესიას და გადავიდა სხვადასხვა დაწესებულებებში, სადაც ხელფასი გაცილებით მეტია. შარშან და შარშანწინ მათი ჯამაგირები არ აღემატებოდა 18 მანეთს თვიურად.

ეხლა, როდესაც მიწისმზომლების კადრი არ გვყავს, ძნელია მიწად-მოწყობის საქმის დაჩქარება, კომისარიატმა ეს მდგომარეობა უნდა გაითვალისწინოს და გამონახოს საშუალება მიწისმზომლების შტატის შევსებისა. ეს კი შეიძლება მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით; თითო მაზრაში მოწვეული უნდა იქნეს არა ნაკლები 10 მიწის-მზომლისა, გარდა ამისა მიწად-მოქმედების განყოფილებებს უნდა მიეცეთ გამოცდილი ინსტრუქტორები სპეციალურად მიწად-მოწყობის სფეროში; მხოლოდ და მხოლოდ ასეთი საშუალებების შემდეგ ჩვენ შევიძლია მიწისმოწყობის დაჩქარება. არავითარ შემთხვევაში გაწეული ხარჯები არ უნდა გადახდეს გლეხობას. ამის იმედი ჩვენ არ უნდა გვქონდეს, როგორც ამაზე ირწმუნება ამხ. ქურდაძე, ვითომდა გლეხობა კისრულობდეს მიწად-მოწყობისათვის ხარჯების გაღებას. გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა ყველა ჩვენთაგანმა კარგად იცის და ყოველნაირ ხარჯის გაღება გლეხების მხრით გამოიწვევს უკმაყოფილებას. ხელისუფლებამ ამ საკითხს სალად უნდა შეხედოს და უნდა შეეცადოს საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობის დადგენილების ცხოვრებაში გატარებას, რომლის ძალით მიწად-მოწყობა უნდა დასრულდეს მთელ კავშირის ტერიტორიაზე ათი წლის განმავლობაში.

თუ მხედველობაში მიღებულ იქნება აღნიშნული ღონისძიებანი, ჩვენ ვფიქრობთ, მიწად-მოწყობის საქმე გამოკეთდება მაზრებში და ის არანორმალური მდგომარეობა, რომელიც ამჟამად არის, თანდათან გამოსწორდება.

ე. შალ—ძე.

---

*) დისკუსიის წესით

მუშათა სახლები და საბინაო ამხანაგობები

მართალია დღეს ბინის საკითხის მწვავედ სდგას დღის წესრიგში, მაგრამ თუ ამ დროს შევადარებთ მენშევიკური მთავრობის ხანას, დავინახავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა ბინის საკითხის მოსაწესრიგებლად.

მუშებს კარგად ახსოვთ თუ როგორ ნესტიან და ბნელ სარდაფებში სცხოვრობდა მშრომელი ხალხი „დემოკრატიულ მთავრობის დროს მშრომელი ხალხი და ის არავისაგან შველას არ მოელოდა.

ან როგორ უნდა მიეცა საშუალება მუშებისათვის „დემოკრატიულ მთავრობას“?—იგი ხომ ვერ შეაწუხებდა ბურჟუაზიას შევიწროებით და მათ ნაცვლად მუშას ხომ ვერ ჩაასახლებდა.

რაც შეეხება სახლების ჩამორთმევას და მუშებისათვის გადაცემას ამაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო.

საქართველოს გასაბჭოების დღიდან დაირღვა „დემოკრატიული“ რესპუბლიკის მთავრობა და მათი პრინციპები.

საბჭოთა ხელისუფლების წყალობით მუშებსა და მოსამსახურეებს შეძლება მიეცათ მშვენიერ სახლებიდან გამოერეკათ ყოფილი მეპატრონენი, ბურჟუა-სპეკულიანტები და თვითონ ჩასახლებულიყვნენ.

ეს მართლაც ასე მოხდა.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ქალაქის აღმასკომის განკარგულებაში მუნიციპალიზაცია ქმნილი რამდენიმე ასეული სახლი იმყოფება, სადაც მუშა-მოსამსახურენი არიან ჩასახლებული, ამ სახლებს გარდა პროფკავშირთა საბჭოს გადაეცა საუკეთესო სახლები, რომლებიც დანაწილდა კავშირებს შორის და მუშა-მოსამსახურენი იქნენ ჩასახლებული.

კავშირებზე გადაცემული სახლების თვალყურის დევნება დაკისრებული ჰქონდა თვით კავშირებს, მაგრამ, ვინაიდან ისინი დატვირთული იყვნენ მუშაობით, მათ ვერ შესძლეს თვალყური ედევნებიათ მუშათა სახლებისათვის. ამიტომ 1923 წ. მარტში მუშათა საბინაო კოოპერატივი დაარსდა. მის ფუნქციებში შედიოდა: მუშათა სახლების თვალყურის დევნება, მათი შეკეთება და სხვ. თუ რამდენათ შესძლო ამ კოოპერატივმა სახლების ნგრევისაგან დაცვა, ამაზე ლაპარაკი კიდევ აღარაა საჭირო, ვინაიდან მუშათა მრავალ კონფერენციებზე იყო ეს საკითხი დასმული, მუშათა ფართო მასსა საკმაოთაა ამ საკითხთან გაცნობილი და შესაფერი მსჯავრიც გამოუტანია კოოპერატივის შესაფასებლად.

ხოლო საჭიროა ერთ გარემოებას მიექცეს ყურადღება. ეს ის არის რომ პროფკავშირები და მუშათა ფართო მასსა წინააღმდეგი იყვნენ მუშათა სახლების ცენტრალურ სამმართველოსი. ისინი მოითხოვენ ამ სამმართველოს დეცენტრალიზაციას, ვინაიდან მუშათა საბინაო კოოპერატივს, მიუხედავათ თავისი სურვილისა არ შეეძლო სრული სამსახური გაეწია მის მიერ გაერთიანებულ 162 სახლისათვის.

მუშათა სახლების საბინაო ამხანაგობაზე გადასვლა—აი რა ისმოდა თავისთავად ყოველთვის დღის წესრიგში. მუშათა სახლების ნგრევისაგან დასაცავათ, მუშათა სახლების საბინაო ამხანაგობაზე გადასვლა მეტად ხელსაყრელია, თვით ამ სახლში მცხოვრებლებისათვის.

მუშათა სახლების ასეთი საამხანაგო წესი მოკავშირე რესპუბლიკებში, სხვადასხვა ქალაქებში დიდი ხანია შემოღებულია. ამ წესმა დიდი შედეგი მოგვცა. საქართველოს პროფესიონალურ კავშირებს არ შეეძლო გვერდი აეხვია ამ გარემოებისათვის. ამიტომ ეს საკითხი დაისვა საქართველოს პროფკავშირთა პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელმაც აუცილებლად საჭიროდ სცნო მუშათა სახლების საბინაო ამხანაგობის წესზე გადასვლა ამა წლის პირველ ოქტომბრამდე.

პრეზიდიუმმა სპეციალური კომისია გამოჰყო, რომელსაც ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება დაევალა. კომისია მუშაობას უკვე შეუდგა.

საჭიროა მუშა-მოსამსახურეებს გავაცნოთ ის, თუ რა დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს მუშათა სახლებში მცხოვრებლებს საბინაო ამხანაგობაზე გადასვლამ. თვითეული სახლის ბატონ-პატრონი თვით ამა თუ იმ სახლში მცხოვრებლები იქნებიან. მათ აღარ დასჭირდებათ ცენტრალურ სამმართველოში—მუშათა საბინაო კოოპერატივში სიარული, ყოველ მუშათა სახლს ეყოლება თავის გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობას იურიდიული უფლება ექნება, აგრეთვე ექნება საკუთარი ბეჭედი. სახლში მცხოვრებთა საერთო კრების დადგენილებით ხდება სახლის შეკეთება და სხვა. სახლში მცხოვრებნი სახლის შესაკეთებლად სესხით ისარგებლებენ სახელმწიფო და კომუნალურ ბანკიდან. სახლში ჩასახლებასა და გამოსახლებას აწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ საბინაო ამხანაგობა. სახლის გამგეობა ხელშეკრულებას დასდებს ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტთან 12 წლის ვადით.

საბინაო ამხანაგობის წესზე გადასვლას კიდევ ის უპირატესობა აქვს რომ მუშები და მოსამსახურენი გახდებიან იმ სახლის ბატონ-პატრონი, სადაც ისინი სცხოვრობენ. ამით ისინი დაიცავენ სახლებს ნგრევისაგან, კოლექტიურად ამხანაგურად შეუდგებიან მუშათა სახლის გამგებლობას.

ამ საქმის ცხოვრებაში გატარება მუშათა სახლებში მცხოვრებთა საქმეა. მათ საჭიროა გაითვალისწინონ, რომ ისინი თუ არ იზრუნებენ მუშათა სახლებზე, სახლები დაინგრევა, მუშათა კლასს ახალ სახლებს არავინ აუშენებს და ისევ მუშების ასაშენებელი გახდება.

ამიტომ საჭიროა მუშათა სახლში ყველა მუშა-მოსამსახურემ იზრუნოს, თვალყური ადევნოს იმ სახლს სადაც იგი სცხოვრობს.

საჭიროა თვითეული მუშათა სახლში მცხოვრები მუშა-მოსამსახურე ჩაუკვირდეს ამ საკითხს, აწონ-დასწონოს და გაზომოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა სახლების საბინაო ამხანაგობაზე გადასვლას.

ა. ფ—შვილი.

გერმანიის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლა საბჭ. კავშირში

იაპონიის ელჩი ტანაკა ჩავიდა მოსკოვში

გერმანიის დეპეშათა სააგენტოს ჭორები გერმანელ ფაშისტ-სტუდენტების გასამართლების შესახებ

14 ივლისს საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა შვეციის მუშების დელეგაცია 300 კაცის შემადგენლობით

ამხ. რაკოვსკი ინგლისთან ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 14 ივლისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლონდონში რაკოვსკიმ „რეიტერის“ სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს სთქვა, რომ თუმცა ჩემბერლენთან შეხვედრის დროს არ შეხებიან საკითხს ინგლის-საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ჩემბერლენთან მთელი საუბრიდან მან გამოიტანა ისეთი დასკვნა, რომ ორივე ქვეყნებს შორის ურთიერთობა სავსებით ნორმალურია.

მაშინ, როდესაც რუსეთში ყველას სურს ინგლისთან სრულიად ნორმალური ურთიერთობის დამყარება, ინგლისის საზოგადოებრივი აზრის ერთი ნაწილი მუდამ „ულერებს საბჭოთა კავშირს რევოლვერს“.

რაკოვსკიმ ხაზი გაუსვა, რომ ინტერესთა სხვადასხვაობას ადგილი აქვს ყველა ქვეყნების ურთიერთ დამოკიდებულებაში. საბჭოთა კავშირი ატარებს ჩინეთში პოლიტიკას, რომლის მიზანია ეროვნული თავისუფლების დაცვა. ეს იმას არ ნიშნავსო, სთქვა რაკოვსკიმ, რომ საბჭოთა პროგრამა მიმართულია აზიასა და ევროპას შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების წინააღმდეგ. ჩვენ თვითონ გვესაჭიროება უცხოეთის კაპიტალი და უფლება არა გვაქვს ხელი შეუშალოთ სხვებს ისარგებლონ უცხოეთის კაპიტალით და უცხოეთის დახმარებით.

შემდეგ რაკოვსკიმ გაბედულად უარჰყო ცნობა იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირის განზრახულ შეკვეთას ინგლისში ჰქონდეს რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ორივე ქვეყნებს შორის ეკონომიურ ურთიერთობის განვითარება განამტკიცებს პოლიტიკურ კავშირს მათ შორის.

ბოლოს რაკოვსკიმ აღნიშნა, რომ 1921 წ. სავაჭრო ხელშეკრულებამ ღიათ დასტოვა ყველა მნიშვნელოვანი ეკონომიური და პოლიტიკური საკითხები. მაგრამ ნაადრევია ლაპარაკი ხელშეკრულების განახლებაზე ეხლა. საჭიროა ჯერ შეიქმნას სათანადო წინასწარი პირობები.

გერმანელ მუშების დელეგაცია საბჭოთა კავშირში

დელეგაცია ლენინგრადში

ლენინგრადი, 15 ივლისი. **ჩამოვიდა გერმანელ მუშების დელეგაცია.** კრონშტადტში მყოფ გემების მეზღვაურები მხურვალეთ მიესალმენ დელეგატებს. მისალმების საპასუხოთ დელეგატებმა იმღერეს ინტერნაციონალი გერმანულ ენაზე.

დელეგაციის შემადგენლობაში შედის **58 მუშა: 16 კომუნისტი, 10 სოციალ-დემოკრატი და 12 უპარტიო**, რომლებიც გერმანეთის ყველა რესპუბლიკების წარმომადგენლები არიან. **დელეგატები არჩეული [illegible] რურის, მიუნხენის, ბერლინის, ნიურნბერგის, დრეზდენის, ლაიპციგის, ხემნიცის, ესსენის, ჰამბურგის, ფრანკფურტის, ელბერფელდის, ოპპელნის და სხვა გერმანულ ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებიდან.**

გზათ კრონშტადტიდან ლენინგრადში დელეგატები მხურვალეთ ეგებებოდენ ყოველ გემს, ბარჟას და ნავსაც კი წითელი დროშის ქნევით, რომელიც ლენინგრადის მუშებმა გაუგზავნეს გერმანელ მუშებს.

ლენინგრადის ნავსაყუდს გემი მიადგა ინტერნაციონალის სიმღერით. მთელი ნაპირი მოფენილი იყო ხალხით. გერმანელ სტუმრების შესახვედრათ მოვიდნენ ლენინგრადის ფაბრიკებისა და ქარხნების მრავალრიცხოვანი დელეგაციები საგუბერნიო პროფსაბჭოს წარმომადგენლების მეთაურობით. **ნავთსადგურიდან გერმანული დელეგაცია მრავალრიცხოვან ხალხის თანხლებით გაემართა შრომის სასახლეში.**

საუბარი დელეგაციის თავმჯდომარესთან

კრონშტადში როსტას კორესპონდენტი ესაუბრა დელეგაციის მთელ რიგ წევრებს.

დელეგაციის თავმჯდომარე ფრეიბერგერმა აცნობა თანამშრომელს თუ როგორ შესდგა დელეგაცია. „უკანასკნელ ხანებში ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სთქვა მან, დადიოდა ხმები მუშების აუტანელ ცხოვრების შესახებ საბჭოთა რუსეთში. პირველ ხანებში, გერმანელ მუშებს ეს სინამდვილეთ მიაჩნდათ. მაგრამ **საბჭოთა კავშირში ინგლისის დელეგაციის მოგზაურობის შემდეგ, რომელმაც ამის შესახებ გამოაქვეყნა თავისი მიუდგომელი აზგარიში, გერმანელი მუშები მიხვდენ, რომ საბჭოთა რუსეთის გარშემო გავრცელებული ხმები—ჭორია.** და მაშინ ჩვენ გადავსწყვიტეთ საბჭოთა კავშირში გამომგზავრება, რათა საკუთარი თვალით დაგვენახა ფაქტიური მდგომარეობა საბჭოთა რესპუბლიკების ქვეყნისა“.

ლაპარაკობს რა მუშების მდგომარეობაზე გერმანიაში, ფრეიბერგერი აღნიშნავს, რომ ის მძიმეა როგორც მორალურათ, აგრეთვე მატერიალურადაც. **გერმანიის მშრომელნი დღევანდელ დღემდე ეზიდებიან იმპერიალისტური ომით გამოწვეულ მძიმე ხვედრს. გადასახადების მთელი სიმძიმე მძიმე ტვირთად აწევა გერმანიის მუშათა კლასს.**

იაპონიის ელჩი მოსკოვში.

საზეიმო შეხვედრა

მოსკოვი, 15 ივლისი. 14 ივლისს მოსკოვში ჩამოვიდა იაპონიის ელჩი ტოკიხი ტანაკა. სადგურის ბაქანზე ჩამწკრივებული იყო მოსკოვის გარნიზონის საპატიო ყარაული. ელჩთან ერთად ჩამოვიდა საელჩოს შემადგენლობა 18 კაცის შემადგენლობით. დღეს საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. კალინინს ელჩი გადასცემს რწმუნების სიგელს.

საუბარი იაპონიის ელჩთან

მოსკოვი, 15 ივლისი. როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს იაპონიის ელჩმა საბჭოთა კავშირში ტოკიხი ტანაკამ საბჭოთა კავშირთან ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ განაცხადა:

იაპონიას სურს საბჭოთა კავშირთან ეკონომიურად დაახლოვება. ჩემს ამოცანას შეადგენს ხელის შეწყობა ორ სახელმწიფოს შორის იმ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენისათვის, რომელიც ომამდე არსებობდა. ამ ხნის განმავლობაში შესამჩნევათ შეიცვალენ რუსეთისა და იაპონიის ბაზრები, ამიტომ წინასწარ, ორივე მხარე უნდა შეუდგეს თითეული ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის სერიოზულად შესწავლას. **პეკინში დადებულ იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას დიდის აღფრთოვანებით შეხვდენ იაპონიაში.** მიუხედავათ ამისა, არ შეიძლება ეს ხელშეკრულება საბოლოოთ ჩავთვალოთ, და ამიტომ აუცილებელია მისი გაფართოება. ერთ-ერთ პირველ ნაბიჯათ ამისაკენ მე ვთვლი სახალინის ნახევარ კუნძულზე იაპონიის კონცესიების საკითხის მოგვარებას. ჩემთან ერთად ჩამოვიდა სპეციალური დელეგაცია, რომელსაც განზრახული აქვს აქ მოლაპარაკების წარმოება საკონცესიო ხელშეკრულებათა საბოლოოთ ხელმოწერის მიზნით“.

კითხვაზე მოგზაურობიდან მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ ტანაკამ უპასუხა: „თუმცა ჩემი მგზავრობა საკმაოთ დიდ ხანს გაგრძელდა, მაგრამ იგი განსაკუთრებულათ სასიამოვნო იყო. მე უდრმესად კმაყოფილი ვარ იმ მხურვალე მიღებით, რომელსაც **მე ვხვდებოდი მთელ გზაზე მოსკოვამდე. მე მსურს გადაუხადო მადლობა მთავრობის ყველა დაწესებულებებს და საზოგადო ორგანიზაციებს იაპონიის საელჩოსადმი დიდი ყურადღებით მოპყრობის გამო, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა“.**

გერმანელ ფაშისტ-სტუდენტების გასამართლების შემდეგ

ვოლფის სააგენტოს ჭორები

ბერლინი, 14 ივლისი. გერმანიის (ვოლფის) დეპეშათა სააგენტო იუწყება:

მოსკოვში მყოფ გერმანიის საელჩოს ცნობებისა და დოქტორ ფრეინდის მოხსენების შემდეგ—ასეთი სურათი იშლება თვალწინ მოსკოვში გასამართლებულ გერმანელ სტუდენტების შესახებ:

საბრალმდებლო ოქმის წამოყენებამდის გერმანიის საელჩო ბევრს ეცადა, პირადათ ენახა ბრალდებულნი, მაგრამ სასამართლომ ამისი ნება არ მისცა. საბრალმდებლო ოქმი ჩააბარეს 19 ივნისში. გასამართლება კი დაიწყო 24 ივნისში. ამგვარად ბრალდებულების განკარგულებაში დარჩა მხოლოდ 4 დღე. ეს კი ეჭვს ჰბადებს, რომ სასამართლოს განზრახ არ უნდოდა საშუალება მიეცა ბრალდებულებისთვის, მოეგროვებინათ ყველა თავისი სასარგებლო საბუთები. საელჩოს შუამდგომლობა, რომ პროცესზე დაეშვათ გერმანელი დამცველი, უშედეგოთ დამთავრდა.

მოწმეებ ბაუმანისა და დიტმარის და აგრეთვე ექსპერტ ნეიმანის ჩვენებათა უსაფუძვლობა—აშკარა იყო. თუ პროცესზე ზოგიერთა წესების გადახვევა გამართლებას ჰპოულობს საბჭოთა კანონმდებლობაში, მაინც რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სიმართლის გრძნობის თვალსაზრისით, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდებულთა მოთხოვნილება და ნება არ მისცა თავიანთ ხელსაყრელ საბუთების მოპოვებისა. **თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ სასამართლომ ანგარიში გაუწია საელჩოს მიერ წამოყენებულ საბუთებს.** რაც უნდა მხედველობაში მივიღოთ მოსკოვში გამეფებული სულიერი განწყობილება და საბჭოთა სასამართლოს წმინდა კლასიური ხასიათი, თუნდა ბრალდებულნი ზოგიერთა მუხლში დამნაშავენიც იყვნენ, მაინც განაჩენი მეტად სასტიკია და არა სამართლიანი.

გერმანიის მთავრობა აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა სასამართლო ორგანოების მოქმედება საფრთხეში აგდებს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას მაინც განაგრძობს მოსკოვში და ბერლინში დაწყებულ სიტყვიერ და წერილობითი მოლაპარაკებას, რათა უსამართლო განაჩენი სისრულეში არ იყვეს მოყვანილი.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს პასუხი

მოსკოვი, 15 ივლისი. ვოლფის სააგენტოს ზემოთმოყვანილ ცნობის გამო როსტა იუწყება შემდეგს:

ვოლფის სააგენტოს მიერ პროცესის გაშუქება და განაჩენის თავისებური შეფასება სავსე არის ლოღიკური წინააღმდეგობით. პირველ ყოვლისა უნდა განვაცხადოთ: **გერმანელ ფაშისტების გასამართლების დროს არც ერთხელ არ მქონია ადგილი საბჭოთა კანონ-დებულების ნორმების დარღვევას. ეს იძულებული იყო ეღიარებინა თვით პროცესზე დამსწრე გერმანელ ადვოკატს—ფრეინდს „ახტურაბენდის“ ფურცლებზე.**

ვოლფის სააგენტოს ცნობაზე, რომ 19 და 25 ივნისს შუა გავიდა 4 დღე და გერმანიის საელჩოს ცდამ ვერ გასჭრა, რომ პროცესზე დაეშვათ გერმანელი დამცველი, ამაზე ვუპასუხებთ შემდეგს: 19 და 25 ივნის შორის გაიარა 5 დღემ და არა ოთხმა. **კანონი კი მოითხოვს, რომ საბრალმდებლო ოქმი უნდა ჩაბარდეს ბრალდებულებს სამი დღის წინეთ — გასამართლებამდის.** ამ მხრივ ვოლფის სააგენტოს არავითარი უფლება არა აქვს უსაყვედუროს სასამართლოს. **რაც შეეხება გერმანელ დამცველის დაშვებას, ამის შესახებ სასამართლოს მომწესრიგებელ სხდომის დროს არავითარი განცხადება არ ყოფილა წამოყენებული არც ბრალდებულებისაგან და არც საელჩოსაგან.** უმაღლესმა სასამართლომ დამცველების საკითხი გადასწყვიტა შემდეგნაირათ: **გერმანიის საელჩოსთან შეთანხმებით ბრალდებულებს უფლება მიეცეთ აირჩიონ თავიანთი დამცველები მოსკოვის ადვოკატურის შორის. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაზე გერმანიის საელჩოს არავითარი პროტესტი არ განუცხადებია.**

უმაღლეს სასამართლოს წინააღმდეგ წამოყენებული უკანასკნელი მუხლი ამბობს: „მოწმეებ ბაუმანისა და დიტმარის და აგრეთვე ექსპერტ ნეიმანის ჩვენებათა უსაფუძვლობა აშკარა იყოვო“. ზედმეტია, ვეკამათოდ იმ საბუთების შესახებ, რაც დამტკიცებულ იქნა არა მარტო სასამართლოს მიერ არამედ თვით ბრალდებულთა მიერაც. ჩვენ არ ვიცით ვოლფის სააგენტო რა საბუთით სთვლის უსაფუძვლოდ ბრალდებულების ჩვენებას. ამავე დროს კი სრულებით მისაღებათა სცნობს საელჩოს მიერ წამოყენებულ საბუთებს, რომლებსაც მხედველობაში იღებს თვით სასამართლოც. **ეს მით უფრო გაუგებარია, რომ დიტმარმა და ბაუმანმა თავიანთი ჩვენება მისცეს კინდერმანის გამოტეხვის შემდეგ.**

ვოლფის სააგენტო აცხადებს, რომ განაჩენი უსამართლო არის, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულნი ეგებ რამდენიმე მუხლში კიდევაც არიან დამნაშავენიო.

ძალიან სამწუხაროა, რომ ვოლფის სააგენტო არ იუწყება, იმისი აზრით, რომელ „ზოგიერთ“ მუხლებში არიან დამნაშავენი ბრალდებულნი. აქამდის ვოლფის სააგენტოს შთაგონებით, მთელი გერმანიის პრესა იმეორებდა, რომ ბრალდებულნი სრულიად ალალ-მართალნი არიან და მხოლოდ სასამართლოს სხვერპლს წარმოადგენენო. ვოლფის სააგენტოს სრული შესაძლებლობა აქვს კრიტიკა გაუწიოს უმაღლეს სასამართლოს განაჩენს, რამდენადაც ეს განაჩენი მას უსამართლოდ ეჩვენება. მაგრამ საქმე ამაში არ არის.

საბჭოთა კანონმდებლობას აქვს გამოსავალი, რის წყალობითაც სასამართლოს დადგენილება შეიძლება სისრულეში არ იყოს მოყვანილი. სწორეთ ამ გამოსავალით ისარგებლეს ბრალდებულებმა და მისცეს პატიების განცხადება უმაღლეს ორგანოში. სხვა გზა არც შეიძლება იყვეს. **საბჭოთა კავშირის მთავრობა არავითარ შევავედნას არ გაუწევს ანგარიშს, რასაც მიზნათ ექნება ჩვენ შინაურ საქმეში ჩარევა.**

შვეციის მუშათა დელეგაციის გამომგზავრება

სტოკჰოლმი. 14 ივლისი. 15 ივლისს საბჭოთა კავშირში მოემგზავრება მუშათა ერთი ჯგუფი. **დელეგაციაში შედის 300 მუშა შვეციის სხვადასხვა ქალაქებიდან, მათ შორის პროფკავშირთა დელეგატები. დელეგაციაში შედიან კომუნისტი, სოციალ-დემოკრატები და უპარტიოები.**

დელეგაციის გამგზავრებას არაჩვეულებრივი ინტერესით შეხვდა მუშათა მასები. მოგზაურობაში მონაწილეობის მიღების შესახებ შემოტანილი განცხადებათა რიცხვი სამჯერ მეტია იმაზე, რის დაკმაყოფილებაც შეიძლება.

ინგლისელების პოლიციის მორიგი თავხედობა შანხაიში

საბჭოთა საკონსულო ექიმის დაპატიმრება

პეკინი. 14 ივლისი. დოსერის საქმის გართულების მიზნით **შანხაის (უცხოელთა) პოლიციამ დააპატიმრა საბჭოთა საკონსულოს ექიმი ფორტუნატოვი**, რომელსაც ბრალად დასდეს ქრთამის შეძლევა რუს თეთრგვარდიელ კედრო-ლივანსკისათვის, რომელმაც გაჩხრიკა დოსერის ნივთები და „აღმოაჩინა“ იქ ყალბი დოკუმენტი.

ფორტუნატოვი გაანთავისუფლეს 10,000 დოლარის გირაოს შეტანის შემდეგ.

ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს კომისარმა შანხაიში წინადადება მისცა შერეულ სასამართლოს, რომ დოსერი გადაცემულ იქნეს ჩინეთის სასამართლოს განკარგულებაში. საკონსულო კორპუსმა უარჰყო ეს წინადადება იმის მოტივით, რომ დოსერი დაპატიმრებული იყო უცხოელთა უბნის პოლიციის მიერ და ამიტომ მისი საქმე გარჩეული უნდა იქნეს შერეულ სასამართლოში.

ვანდერველდეს მოლაპარაკება კრასინთან

პარიზი, 14 ივლისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ ბელგიის პარლამენტის გარეშე საქმეთა კომისიაში გარეშე საქმეთა მინისტრმა ვანდერველდემ მოხსენება გააკეთა კრასინთან მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მან აწარმოვა პარიზში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების მიზნით.

კომისიამ მოიწონა ვანდერველდეს მოხსენება.

უკანასკნელი ცნობები

რაზე ოცნებობენ რუმინელი მემამულეები

ვენა, 14 ივლისი. ბუქარესტის გაზეთი „ლუპტა“ იუწყება, რომ რუმინეთის სამხედრო წრეებში დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას გერმანის ნაპირიდან ბოსფორამდე. ამ ფრონტის შემადგენლობაში შევლენ ბალტიის სახელმწიფოები, პოლონეთი, მცირე ანტანტა და ოსმალეთი.

ამ წრეების აზრით დღევანდელი მომენტი ყველაზე უფრო ხელსაყრელია ერთიანი ფრონტის შესაქმნელად.

გაზეთის სიტყვით ამ თვალსაზრისს ყველა არ იზიარებს, ვინაიდან ამ გეგმის განხორციელება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ამას ფიქრობენ სამხედრო წრეები.

მცირე ანტანტაში პოლონეთის შესვლა მოასწავებდა იმას, რომ მცირე ანტანტის ყურადღება მოშორდებოდა ჰუნგრეთის და მიმართული იქნებოდა საბჭოთა კავშირისაკენ. ხოლო მცირე ანტანტის რეალურ ინტერესს წარმოადგენს ჰუნგრეთზე კანტროლის შენარჩუნება, მით უმეტეს, რომ ახლომომავალში მოსალოდნელი არ არის ომი საბჭოთა კავშირთან.

ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის მეორე დაბრკოლებას წარმოადგენს სახელმწიფოების ეთნოგრაფიული შემადგენლობა.

მშვიდობიანი დროის მიხედვით ჩეხო-სლოვაკიას ჰყავს 150.000 კაცისაგან შემდგარი არმია, მობილიზაციის გამოცხადების დროს კი არმია შეიძლება გადიდებული იქნას 500.000 კაცამდე.

რუმინეთის არმია ომის დროს 1.400.000 კაცისაგან იქნება შემდგარი. მშვიდობიანობის დროს კი იგი შესდგება 125.000 კაცისაგან, რაც საკმარისი არ არის მისი საზღვრების დასაცავად.

სამხრეთ-სლავიას შეუძლია ომის დროს გამოიყვანოს 1 მილიონი ჯარისკაცი. მშვიდობიანობის დროს მისი არმია შესდგება 185,000 კაცისაგან.

იმ შემთხვევაში, თუ დაიწყო ომი საბჭოთა კავშირთან, რუმინეთს და სამხრეთ-სლავიას არ შეუძლიათ დაამზადონ საკმაო სამხედრო მასალა. მათი საჰაერო ძალები ვერ შეედრება საბჭოთა კავშირის საჰაერო ძალებს.

ჩეხო-სლოვაკიას აქვს სამხედრო ქარხნები და 3 საჰაერო ესკადრილია. მასვე აქვს აგრეთვე 3 ჰაეროდრომი. მაგრამ ჩეხო-სლოვაკიასაც არ შეუძლია დაუპირდაპიროს თავისი საჰაერო ძალები საბჭოთა კავშირის საჰაერო ძალებს.

პოლონეთის არმიაში მშვიდობიანობის დროს ითვლება 230.000 ჯარისკაცი. ომის დროს არმია შეიძლება გაიზარდოს 2.000.000 კაცამდე, მაგრამ ამ არმიასაც არა აქვს დიდი რეალური მნიშვნელობა არც მცირე ანტანტისათვის და არც ევროპაში მშვიდობიანობის დაცვისათვის, ბოლშევიკურ საშიშროების წინააღმდეგ.

მცირე ანტანტის სახელმწიფოებს იმედი აქვთ, რომ მოკავშირეები გაუწევენ მათ ფართო ეკონომიურ და ფინანსიურ დახმარებას, რის გარეშეც ფიქრიც კი ზედმეტია ანტისაბჭოთა ფრონტის განხორციელებაზე.

ჩინეთის ამბები

ინგლისის ინტრიგები

პეკინი, 14 ივლისი. კანტონის მთავრობის მოლაპარაკება უცხოელებთან უშედეგოდ გათავდა. ინგლისელები სცდილობენ აიძულონ ამას წინედ დამარცხებული შავრაზმელი გენერლები დაეცენ კანტონს, მაგრამ საეჭვოა, რომ მათ ეს გაბედონ.

უთანხმოება უცხო სახელმწიფოებს შორის

პეკინი. 14 ივლისი. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოსთხოვა უცხოეთის დიპლომატებს კონფერენციის დაუყონებლივ მოწვევა. მაგრამ სახელმწიფოებს შორის უთანხმოება არსებობს ამ საკითხის გარშემო და კონფერენცია, როგორც სჩანს მოკლე ხანში ვერ შეიკრიბება.

იაპონიის პრესა ინგლისთან კავშირის წინააღმდეგ

ტოკიო, 14 ივლისი. გაზეთი „ციუგაი სოგვიო სიმპო“ ინგლის-იაპონიის ახალ კავშირის შესახებ სწერს, რომ უაზრობა იქნებოდა იაპონიისათვის ინგლისთან კავშირის შეკვრა და მის მიზნების განხორციელებისათვის ხელის შეწყობა.

გაზეთი „მორონდზუ“, აღნიშნავს რა ინგლისის მძიმე საერთაშორისო მდგომარეობას, ურჩევს იაპონიას სიფრთხილით მოეპყრას საკითხს ახალი კავშირის შესახებ.

გაზეთი „კოკუმინი“, აღნიშნავს რა ინგლისის შიშს აღმოსავლეთის ბაზრებზე იაპონურ ნართავის გავრცელების გამო, ამბობს, რომ იაპონიისათვის ძნელი არ არის ამ ბაზრების სავსებით ხელში ჩაგდება.

ინგლისის სამთომადნო მუშების კონფერენცია

მუშები მოითხოვენ მაღაროების ნაციონალიზაციას

ლონდონი. 14 ივლ. სკარბოროში გაიხსნა ინგლისის სამთომადნო მუშების მორიგი წლიური კონფერენცია.

კონფერენციას ესწრება 200 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ ფედერაციის 800,000 წევრს.

კონფერენცია გახსნა ჰერბერტ სმიტმა, რომელმაც თავის სიტყვაში განაცხადა, რომ სამთომადნო მრეწველებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და წარუდგინეს მუშებს ულტიმატუმი, რომლითაც სურთ ზეგავლენა მოახდინონ მუშებზე და განახორციელონ თავისი სურვილები სამუშაო ხელფასის და სამუშაო დღის ხანგრძლივობის საკითხებში.

სმიტმა მოუწოდა ფედერაციას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს სამთომადნო მრეწველობის ზრახვებს და იმედი გამოსთქვა, რომ მრეწველების იერიშებს წინააღმდეგობას გაუწევენ ინგლისის ყველა პროფორგანიზაციები.

სმიტი შეეხო მაღაროების ნაციონალიზაციის საკითხს და განაცხადა, რომ ნაციონალიზაცია ერთად-ერთი საშუალებაა სამთომადნო მრეწველობის გადასარჩენად.

სმიტი დასასრულს აცხადებს, რომ საჭიროა მტკიცე გაერთიანების შექმნა, რადგან „ჩვენ უნდა მოვემზადოთ როგორც თავდაცვითი, ისე თავდასხმითი პოლიტიკისათვის“.

ინგლისი ზრახვები

ინგლისის საზღვაო ბაზა ბალტიის ზღვაზე

ჰელსინგფორსი, 14 ივლისი. მთავრობასთან ახლო მდგომი წრეები ბალტიის ზღვაში ინგლისის ფლოტის მოსვლის მნიშვნელობას უკავშირებენ ინგლისის ცდებს განახორციელოს თავისი, დიდი ხნის შემუშავებული გეგმა ბალტიის ზღვაში საზღვაო ბაზის შექმნის შესახებ. აქ მიღებულ სარწმუნო ცნობების მიხედვით, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პუსტას მოლაპარაკება ინგლისის მთავრობასთან ინგლისისათვის კუნძულების—დაგე და ეზელის დიდი ვადით იჯარით გაცემის შესახებ, უკვე შესდგა, რაც საბოლოოდ დამტკიცებულად ითვლება. დაგე-ეზელის პროექტის განხორციელება განზრახულია ხანგრძლივ იჯარის საფუძველზე, ორივე კუნძულზე ესტონიის ფიქტიური სუვერენიტეტის შენარჩუნებით. ინგლისი იტოვებს საზღვაო ბაზის მოწყობის, სიმაგრეთა აგების და კუნძულიდან მიღებულ ყველა შემოსავლით სარგებლობის უფლებას, პროექტის განხორციელებას, ალბათ, შეუდგებიან რამდენიმე თვის შემდეგ.

საბერძნეთის ფლოტი ინგლისის ხელში

სტამბოლი, 14 ივლისი, სარწმუნო წყაროების მიხედვით, ათინიდან ჩამოსული, ინგლისის სამხედრო-საზღვაო მისიის სათავეში მდგომი, ადმირალი [illegible] შეუდგა საბერძნეთის ფლოტის მოწყობას და მიიღებს საბერძნეთის ფლოტის მთავარსარდლის სახელწოდებას. ტოუნსხენტთან ერთად ჩამოსული ოფიცრები ჩაუდგებიან სათავეში საბერძნეთის სამინისტროს სხვადასხვა განყოფილებებს. ხარჯები საბერძნეთის ფლოტის მოსაწყობათ ბრიტანეთის მისიის მიერ ნაანგარიშევია რამდენიმე მილიონ გირვანქა სტერლინგათ. ამასთან ერთად ინგლისმა იკისრა საბერძნეთის საჰაერო ფლოტის აღმშენებლობა. ინგლისის ფირმამ შეიძინა მიწის ნაჭერი ჰიდროპლანებისა და მფრინავთა სასწავლებლის ასაგებათ.

ხმები შტრეზემანის გადადგომის შესახებ

ბერლინი, 14 ივლისი. გავრცელდა ხმები შტრეზემანის გადადგომის შესაძლებლობის შესახებ.

გაზეთების ცნობით, პარლამენტის წრეებში ამტკიცებენ, რომ ნაციონალისტური პარტიის უმრავლესობა შეუერთდა უკიდურეს მემარჯვენე ფრთის ოპოზიციას შტრეზემანის პიროვნების და პოლიტიკის წინააღმდეგ და მას სურს ჩამოაგდოს შტრეზემანი.

ამ კრიზისს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ამ კვირაში უნდა გადასწყდეს საკითხი საგარანტიო ხელშეკრულების გამო გერმანიის საპასუხო ნოტის შინაარსის შესახებ.

შავი ტერორი ბულგარეთში

სალამი ამხ. კაბაკჩიევს.

მოსკოვი, 15 ივლისი. ბულგარეთის კომპარტიის ცკკას პროცესზე ამხ. კაბაკჩიევმა წარმოსთქვა დასაცავი სიტყვა, რომელიც გრძელდებოდა 2 დღეს. ამის გამო მოსკოვში მყოფმა ბრალდებულებმა კოლაროვმა და დიმიტროვმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს მას:

„სოფია. საოლქო სატუსაღო. კაბაკჩიევს. გიგზავნით მხურვალე სალამს კომპარტიისა და მშრომელთა საქმის ვაჟკაცურ დაცვისთვის სასამართლოს წინაშე. განაჩენი კიდევ უფრო განამტკიცებს კავშირს მშრომელ მასსებსა და იმათ თავგანწირულ ბელადებს შორის“.

დაუსწრებლათ მსჯავრდებულთა საჩივარი.

მოსკოვი, 15 ივლისი. კოლაროვმა, დიმიტროვმა და ლუკანოვმა, რომელთაც წინასწარ მისჯილი აქვთ 12 წ. კატორღა, სოფიის სასამართლოს გაუგზავნეს საპელაციო საჩივარი: „სოფიის საოლქო სასამართლოს განაჩენის წინააღმდეგ შესახებ ბულგარიის კომპარტიის ცკკას სისხლის სამართლის საქმისა. ჩვენ ვანსაჩივრებთ განაჩენს და მოვითხოვთ მის სრულ გაბათილებას. ამას დავასაბუთებთ იმის შემდეგ, როცა მივიღებთ განაჩენისა და ოქმის ასლს, რის დამზადებასა და გადმოგზავნის ფოსტით გთხოვთ—მოსკოვში (აღნიშნულია მისამართი).

75 სიკვდილის განაჩენი

მოსკოვი, 15 ივლისი. მიღებულ ცნობების მიხედვით—სოფიის სამხედრო სასამართლოს აქნობამდის გამოუტანია 75 სიკვდილის განაჩენი. განაჩენის უდიდესი ნაწილის სისრულეში მოყვანა შეჩერებულია სამხედრო-საკასაციო სასამართლოს მიერ, რადგან ბრალდების ზოგიერთ ნაწილს დაუსაბუთებლათ სცნობს.

ნიკალაევის ქალი უნდა აწამონ

მოსკოვი, 15 ივლისი. ადრე ნიკალაევას მისჯილი ჰქონდა სახალხოთ ჩამოღრჩობა იმისთვის, რომ მან თავშესაფარი მისცა და სწამლობდა მარკ ფრიდმანს. მაგრამ რადგან ნიკალაევა საფრანგეთის მოქალაქეა, ამიტომ საფრანგეთის მისსიის მოთხოვნილებით მას ჩამოღრჩობა შეუცვალეს სამუდამო დაპატიმრებით. მთელმა პრესამ და მათ შორის სოც.-დემოკრატიულმაც მთელი განგაში ასტეხა საფრანგეთის მიერ ბულგარეთის შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ. ეხლა მიღებულია ცნობები, რომ ნიკალაევას აუწერელ ფიზიკურ და ზნეობრივ წამებას აყენებენ იმ მიზნით, რომ შეცვლილი სიკვდილის განაჩენი ამგვარათ მაინც მოიყვანონ სისრულეში.

გაფიცვა ტოკიოში

ტოკიო, 14 ივლისი. ბიბაურის მანქანების საამშენებლო ქარხანაში ტოკიოში დაიწყო გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს 2.500-ზე მეტი მუშა.

გაფიცულები მოითხოვენ დათხოვნილ 18 მუშის უკანვე მიღებას და 8 საათის სამუშაო დღეს, ნაცვლად 9 საათის სამუშაო დღისა.

ინგლისი და ამერიკა ჩინეთში

„იზვესტია“-ს წერილი

მოსკოვი, 15 ივლისი. „იზვესტია“ სწერს: „შორეულ აღმოსავლეთში ინგლისისა და ამერიკის პოლიტიკის მიმართულებათა სხვადასხვაობა უკვე თვალსაჩინო გახდა. რა რიგ მრუდე არ არის ამერიკის პოლიტიკა, მაგრამ ის გარემოება, რომ ამერიკის მთავრობა დაჟინებით აყენებს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის საკითხს ჩინეთზე მძიმე ტვირთად დაწოლილი უთანასწორო ხელშეკრულებათა გადათვალიერების მიზნით, ცხადყოფს, რომ დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა წარმოადგენს გარდამავალ ხასიათის ფაქტს.

მხოლოდ ინგლისია დაინტერესებული ჩინეთის ნაციონალურ მოძრაობის სრულ და დაუყონებლივ ჩაქრობაში. მხოლოთ ინგლისი მიმართავს ჩინეთში უკიდურეს და სისხლისმღვრელ რეპრესიებს.

ამერიკის გამოსვლა წარმოადგენს დაბრუნებას ძველ პოლიტიკისადმი ჩინეთში, რომელიც გულისხმობდა ჩინეთის პოლიტიკის წინააღმდეგ აშკარათ გალაშქრების პრინციპს. ჩინეთის მრავალ გულუბრყვილო პოლიტიკურ მოღვაწეს ამერიკა წარმოუდგინა უანგარო მეგობრათ, რაც ამერიკის პოლიტიკასათვის წარმოადგენს მეტად ხელსაყრელ იარაღს, ჩინეთში მისი გავლენის გასაფართოებლათ და მისი ინტერესების უზრუნველსაყოფათ.

დიდი ხნის ნებაყოფილობით განცალკევების შემდეგ ამერიკის პოლიტიკა ამჟამად თანდათანობით ფრთხილად იწყებს გამოსვლას მსოფლიო სარბიელზე, ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცეთ იპოვებს მსოფლიო ჰეგემონის მდგომარეობას, სცდილობს ყველგან თვითეულ ნაბიჯის გადადგმით გაამაგროს ან, უკიდურეს შემთხვევაში მოიმზადოს მეტი გავლენა.

ინგლისი ამ ახალ ბუმერანგის დანახვით შიშით დაიბნა და სცდილობს ცოტაოდენი დახმარება მაინც იპოვოს მის მიერ გაყიდულ და ყოფილ მოკავშირე იაპონიაში. იაპონია-ინგლისის ამ ახალ დამმობილებაზე ჯერჯერობით გაჰკივიან მარტო ინგლისელი აგენტები, და მეტად საეჭვოა, რომ იაპონიის შორსმჭვრეტელი მთავრობა, ერთხელ უკვე მოტყუებული ინგლისის მიერ, კიდევ წამოეგოს ამ ანკესზე.

საერთოდ, უკანასკნელი დღეები შორეულ აღმოსავლეთში საბოლოო ანგარიშით წარმოადგენენ მსოფლიო კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ანტაგონიზმის სწრაფ, შეუჩერებელ ზრდას.

პარტიული ცხოვრება

სოფლის პარტუჯრედები და ქოხ-სამკითხველოები

თუ როგორი დიდი როლი უნდა ითამაშონ ქოხ-სამკითხველოებმა სოფლად ჩვენი გლეხკაცობის კულტურულ და პოლიტიკურად გათვითცნობიერების საქმეში—ეს ყველასათვის აშკარაა. ამის შესახებ მე-14 პარტკონფერენციამ კიდეც გამოსთქვა თავისი ავტორიტეტული შეხედულებაც.

მაგრამ აქ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს, საქართველოს სინამდვილეში ქოხ-სამკითხველოებს ჯერ-ჯერობით ვერ ექცევა ისეთი ყურადღება, როგორიც ეს საერთოდ საჭირო არის. მიზეზი ამისა კი უმთავრესად უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ჩვენი პარტიული უჯრედები სოფლად მოისუსტებენ, მათ არ ახასიათებთ სათანადო ცხოველმყოფელობა.

აქ ხაზგასმით ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები სოფლად, სადაც ისინი ძლიერნი არიან და დგანან თავიანთ სიმაღლეზე, არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ქოხ-სამკითხველოების ნორმალურად დაყენების საქმეს.

სხვათა შორის, ამას წინად ერთ-ერთი პარტკორი ჩვენი გაზეთის პარტიული ცხოვრების განყოფილებაში იუწყებოდა: მიუხედავად იმისა რომ კომუჯრედი ძლიერია, მუშაობაც გამოცოცხლებულია, კრებები იმართება სისტემატიურად, თვით უჯრედის სხვადასხვა წრეებში ყველა წევრები იჩენენ არაჩვეულებრივ ენერგიულობას და სხვა—კომუჯრედი არავითარ ნაბიჯს არ სდგამს ქოხ-სამკითხველოების მუშაობის გაძლიერებისათვისო. ეს, რასაკვირველია, მეტად დიდი უარყოფითი მხარეა ჩვენს პარტმუშაობაში სოფლად და ეს ნაკლულოვანება კიდეც უნდა იქნას დაუყონებლივ გამოსწორებული.

ჩვენმა პარტიულმა უჯრედებმა სოფლად არა გულგრილად უნდა შეხედონ ქოხ-სამკითხველოების ქსელის გაფართოების და განმტკიცების საქმეს, არამედ, მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ და ქოხ-სამკითხველოებში მუშაობა წარმართონ პარტიული ხაზით. ეს მით უმეტეს, რომ ქოხ-სამკითხველო სოფლად წარმოადგენს პოლიტიკურ-განმანათლებელ ცენტრს და ერთ-ერთ საშუალებას მშრომელ გლეხკაცობასთან დაახლოებისათვის, პარტიის უპარტიო მასებთან უფრო მჭიდროთ დაკავშირებისათვის.

მაგრამ რა არის უმთავრესად საჭირო ქოხ-სამკითხველოებში მუშაობის გამოსაცოცხლებლად?

საჭიროა რომ, გარდა იმ ამხანაგებისა, რომლებიც უჯრედებიდან მიმაგრებული არიან ქოხ-სამკითხველოებზე, არ უნდა დარჩეს პარტიის არც ერთი წევრი, რომელიც მხურვალე მონაწილეობას არ მიიღებს ქოხ-სამკითხველოების ყოველ დღიურ საქმიანობაში.

თვითეული პარტიული ამხანაგი ვალდებულად უნდა სთვლიდეს თავის თავს, რომ ქოხ-სამკითხველოებში, სადაც უნდა იმართებოდეს საუბრები, პოლიტიკური ხასიათის ლექციები, სწარმოებდეს სხვადასხვა წრეების მუშაობა და აწვდიდენ გლეხებს ყოველგვარ ცნობებს, აძლევდნენ რჩევა-დარიგებებს—გააჩაღოს მუშაობა. და არამც თუ მარტო უჯრედების წევრები, არამედ ქოხ-სამკითხველოებში უნდა მიზიდულ იქნან სოფლის ყველა კულტურული ძალებიც, რათა შესაძლებელი გახდეს ამ მუშაობაში გლეხკაცობის ფართოდ ჩაბმა.

აი კერძოდ ის, რასაც უნდა, მიექცეს მეტად სერიოზული ყურადღება.

თუ დღემდე ქოხ-სამკითხველოების დაარსების და იქ მუშაობის საქმეს პარტუჯრედების მიერ ექცეოდა უმნიშვნელო ყურადღება, დღეს საჭიროა ამ მხრივ გადაიდგას სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები.

ანი.

საქართველოს ცაკის მეორე სესია

მესამე სხდომა

სხდომა იხსნა სასახლის ბაღში საღამოს ექვს ნახევარ საათ'ზე ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით.

ამხ. ვარძიელის მოხსენება

სასამართლოს წყობილების დებულების შესახებ

— ამხანაგებო! სასამართლოს წყობილების დებულება არკვევს სასამართლო ორგანოების ორგანიზაციის ფორმას და მათ ურთიერთობას.

სასამართლოს წყობილების ძველი დებულების განხილვის დროს, როდესაც ჩვენ ვადგენდით ცვლილებების და დამატებების ახალ პროექტს, ჩვენ ვხელმძღვანელობდით საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ცაკის მიერ 1924 წლის ნოემბერში გამოცემულ დებულებებით სასამართლოს წყობილების შესახებ.

ეს დებულებები წარმოადგენს ზოგად პრინციპიალურ საფუძვლებს, რომელთა მიხედვით უნდა მოხდეს სასამართლოების მოწყობა ცალკე მოკავშირე რესპუბლიკებში.

ჩვენი ძველი დებულება სასამართლოს წყობილების შესახებ შედგენილი იყო 1922 წელში. ეხლა, როდესაც ჩვენ გვაქვს საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ შემუშავებული საერთო პრინციპიალური დებულებები, ჩვენ უნდა გადავაკეთოთ ჩვენი სასამართლო ორგანოები.

სასამართლოს წყობილების დებულების ცვლილებების და დამატებების ახალი პროექტის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით აგრეთვე იუსტიციის მუშაკთა სრულიად საქართველოს პირველი ყრილობის გადაწყვეტილებებით, რომლებიც, უმთავრესად, ეხება იმას, რომ თავიდან აცილებული იქნეს პარალელიზმი სასამართლოს ორგანოების მუშაობაში. აქამდი, მაგალითად, არ ყოფილა სისწორით გამოკვეთილი იუსტიციის სახალხო კომისარიატის და საოლქო სასამართლოების ფუნქციები ცალ-ცალკე.

ახალ პროექტში ეს გარემოება გათვალისწინებულია და პარალელიზმი თავიდან აცილებულია.

სასამართლოს წყობილების დებულების პირველი დამატება შეეხება უმაღლეს საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელიც უნდა დაარსდეს საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან სახელმწიფო ორგანოებს შორის დაწყებულ კონებრივ დავის გასარჩევად.

შემდეგი დამატებები და ცვლილებები ეხება საკასაციო სასამართლოებს, სასამართლოს უბნების განსაზღვრას, სახალხო მოსამართლეების ჯამაგირს, სახალხო სასამართლოების მდივნების დანიშვნას და სხვა.

ამხ. ტაკოევის სიტყვა

ჩრდილოეთ და სამხ.-ოსეთის გაერთიანების შესახებ

ამხ. ვარძიელის მოხსენების შემდეგ საინფორმაციო მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ამხ. ტაკოევს.

— ამხანაგებო, მე თქვენთან გამოგზავნილი ვარ ჩრდილოეთ ოსეთის ცაკის მიერ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების საკითხზე ინფორმაციული მოხსენების გასაკეთებლად.

გაერთიანების საკითხი დაისვა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვარში ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა ყრილობაზე; შემდეგ ეს საკითხი გადატანილი იქნა რ. ს. ფ. ს. რ. ცაკში, რომელმაც მიიღო დადგენილება ამ საკითხის როგორც ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო აღმასკომთან, ისე საქართველოს ცაკთან შეთანხმების შესახებ.

გაერთიანების მოტივები ნათელია. ოსეთის ხალხის დაქსაქსულობა მძიმე გავლენას ახდენს ოსეთის კულტურულ და ეკონომიურ განვითარებაზე. ასეთ პირობებში ოსეთის ხალხი ვერ სარგებლობდა ნაციონალური ავტონომიით.

ამას გარდა ოსეთის სამეურნეო აღორძინებისა და განვითარების მიზნით აუცილებელია მისი ტერიტორიალური გაერთიანება, რაც ხელს შეუწყობს ორივე ოლქების სამეურნეო მოღვაწეობის შეთანხმებას და გაერთიანებას.

უნდა ითქვას, რომ ორივე ოლქების ორიენტაცია საქართველოზე აიხსნება მთელ რიგ გარემოებებით, რომლებიც უკარნახებენ ორივე ოლქებს შევიდენ სწორეთ საბჭოთა საქართველოს ფარგლებში.

ჩვენთვის აშკარაა, რომ ოსეთის ხალხის კულტურული და ეკონომიური განვითარება გვიკარნახებს ამ გაერთიანებას, რომელსაც, მე ვფიქრობ, თანაგრძნობით შეხვდება საქართველოს მშრომელი მასა და ეხლანდელი სესია ამ კითხვაზე მოგვცემს ნათელ და გარკვეულ პასუხს.

ამხ. ტაკოევს საპასუხო სიტყვით მიმართა ამხ. მახარაძემ, რომელმაც აღნიშნა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების აუცილებლობა, მიუხედავათ იმისა, თუ რომელ რესპუბლიკაში შევლენ ისინი; ამხ. მახარაძე მიესალმა ოსეთის მშრომელი ხალხის გადაწყვეტილებას, რომლითაც ის სურვილს აცხადებს შევიდეს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. გეგელიამ (აფხაზეთი), თავდგირიძემ (აჭარისტანი) და ჯატიევმა (სამხრეთ ოსეთი).

რეზოლიუცია

ოსეთის ორივე ოლქის გაერთიანების შესახებ საქართველოს ცაკის მეორე სესიამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. ტაკოევის ინფორმაციული მოხსენება ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად გაერთიანების შესახებ, საქართველოს ცაკის მესამე მოწვევის მეორე სესია აღტაცებით ეგებება ამ ორი გათიშული ხალხის გაერთიანებას, მიუხედავათ იმისა, თუ რომელ რესპუბლიკაში შევლენ ისინი.

რაც შეეხება გაერთიანებული ოსეთის საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში შესვლას, საქართველოს ცაკი უერთდება იმ დადგენილებას, რომელიც მიღებული იქნა ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო აღმასკომის და აგრეთვე ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ცაკების მიერ“.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი

ამხ. ვარძიელის მოხსენება

ამხ. ვარძიელის უკანასკნელი მოხსენება ეხება იმ ცვლილებებს და დამატებებს, რომლებიც შეტანილია სამოქალაქო სასამართლოს საპროცესო კოდექსში.

ვინაიდან საბჭოთა კავშირის ცაკს ჯერ გამოუცია საპროცესო კოდექსის ძირითადი დებულებები, ამიტომ კოდექსში არ არის შეტანილი ძირითადი ცვლილებები, რომ არ მოხდეს მათი შეუთანაზრობა იმ საერთო საფუძვლებთან, რომლებიც შემდეგში იქნება გამომუშავებული საკავშირო ცაკის მიერ.

საქართველოს 1925—26 წ. ბიუჯეტი

ამხ. თ. ღლონტის მოხსენება

საქართველოს ცაკი თემის ბიუჯეტის საკითხს პირველად იხილავს. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამ საკითხს აქ ვრცლად განვიხილავთ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ აქ უნდა მოვხაზოთ საერთო კონტურები იმისა, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ თემის ბიუჯეტი და საით უნდა მივმართოთ სოფლის ცხოვრება.

თემის ბიუჯეტის საკითხი ჩვენთვის ახალი საკითხია. ჩვენ მის გადაწყვეტას ვუდგებით უტრადიციოთ. საქართველოში არ ყოფილა სათემო ბიუჯეტი, როდესაც მას რუსეთში და სხვა მეზობელ რესპუბლიკებში 60 წლის ისტორია აქვს.

შემდეგ ამხ. ღლონტიმ დაახასიათა საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები და აღნიშნა სათემო ბიუჯეტის შემოღების მნიშვნელობა ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში.

მიწის კოდექსში შესატანი ცვლილებები *)

(ცაკის მიმდინარე საკითხის გამო)

საქართველოს ცაკის მიმდინარე სესიის გამო, მე მსურს ამხანაგების ყურადღება მივაპყრო რამოდენიმე საკითხს, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ მმოქმედ მიწის კოდექსთან.

საკითხი პირველი.

მიწად მოწყობის ხარჯები

ამ საკითხის გადაჭრაზეა სავსებით დამოკიდებული მიწათმოწყობის მუშაობის ჩატარების დაჩქარება ან შეფერხება. საქმე შეეხება ამ ხარჯების ნაწილობრივ გადატანას სოფლის შეძლებულ და საშუალო შეძლების მცხოვრებლებზე. როგორც დანამდვილებით ვიცით ასეთი პრინციპია შემოღებული საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებში. მიწათ მოწყობის ხარჯები ორნაირია: ერთია სამიწისმოწყობო პერსონალის ჯამაგირი, დღიურები და საოპერაციო ხარჯები და მეორე, ადგილზე მუშაობის დროს ტექნიკებისათვის, მუშების, მიმოსვლის ბინის და სხვა—ხარჯი: 1924 წლამდე პირველნაირ ხარჯს ჩვენში ეწეოდა მიწათ-მოქ. კომისარიატი თავის სალაროდან, ხოლო მეორე გვარ ხარჯებს—თვით სოფლის მცხოვრებნი. 1924 წელს—კი როცა ს. ც. ა. კ. კომისიამ ამოშალა მიწის კოდექსის პროექტიდან სამისო მუხლები, ეს მეორე ხარჯებიც სახელმწიფო სალაროს დააწვა, რის გამოც მიწის მზომელთა რიცხვი 90-დან 36-მდე იქნა დაყვანილი. თავის თავად ცხადია, ასეთი ძალებით არაფერი გაკეთდება და მიწის აწეწილ-დაწეწილ საკითხის მოგვარებას ვერ მოვესწრებით. თუ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში არსებული წესები მიწის მოწყობის დარგში სხვადასხვა მიზეზების გამო ჩვენში მიუღებელია, ყოველ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დაუბრუნდეთ 1924 წლამდე არსებულ წესებს რადგანაც არავისთვის საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს ის, რომ სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა ჯერ-ჯერობით იმდენს არ გვაძლევს სათანადო რაოდენობის კრედიტის მიღებისას. სოფლის მეურნეთა შორის იმდენათ დიდია მიწების მოწყობის ინტერესი, რომ მათთვის ასეთი ხარჯების დაკისრება დიდ სიმძიმეს არ წარმოადგენს, პირიქით სოფლები კატეგორიულათ მოითხოვენ რითაც არ უნდა დაუჯდეთ მათ, მოხდეს მათი მიწების მოწყობა-აღნუსხვა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო გადასახადის გაწერის საქმეში და საერთოთ სასოფლო მეურნეობის აღდგენა-გამაგრებაში.

ამის გამო მუხლ 127-ს საქართველოს მიწის კოდექსისას უნდა დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

„სოფელი, სადაც სწარმოებს მიწათ მოწყობა, ვალდებულია თავის ხარჯით მისცეს მიწისმზომელ-მიწათ-მოწყობებს: ა) მასალა მუშაობისათვის და მიჯნის ნიშნებისათვის, ბ) საცხოვრებლად და სამუშაოთ ვარგებული ბინა გათბობით, და გ) არა ნაკლებ სამი მუშისა ყოველ სამუშაო დღეს და გადასაზიდავი საშუალება ზომვისა და სამიჯნო ნიშნების გაკეთების დროს. ამ ხარჯებს ანაწილებს სოფლის შეძლებულთა და საშუალო შეძლების მცხოვრებთა შორის თემის აღმასრულებელი კომიტეტი“.

ესაა ზოგადად ის ცვლილება, რომლის შეტანა საჭიროა მიწის კოდექსში მიწის მოწყობის ხარჯების შესახებ.

საკითხი მეორე

კომლის მიწების გაყოფა

აქ საჭიროა გაუქმება კოდექსის მუხლებისა: 48, 55 და 56. მოვიყვანთ მთავარ მუხლს 48, რომელიც გვეუბნება შემდეგს:

„კომლის მიწების გაყოფა-განაწილება კომლის შემადგენელ ოჯახთა ან წევრთა შორის შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ თვითეულ განაყოფს შეხვდება ცალკე მეურნეობის საწარმოებლად საკმაო მიწა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლებ ნახევარი კანონიერი ნორმისა წინააღმდეგ შემთხვევაში გაიყოფა მხოლოდ კომლის საერთო ქონება“.

როდესაც მიწის კოდექს ვიმუშავებდით, სრულიად შეგნებულად შევიტანეთ ასეთი შემზღუდველი მუხლი, რომ ამით შეგვეჩერებია მეტი დაქუცმაცება მიწების, მაგრამ მან გამოიწვია უკმაყოფილება განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბა-ქალაქების მოგაგონებთ ისე მჭიდროდაა დასახლებული. ჩვენ გვწერენ დასავლეთ საქართველოს სოფლებიდან ხშირად ძმები: „ორნი ვართ, მამამ დაგვიტოვა ორივეს ექვსი ქცევა, (2 და 1 მეოთხედი დესეტინა). სანამ ცოლს შევირთავდით, ვიყავით ძმურად და ვმუშაობდით ერთად, მხოლოდ ცოლის შერთვის შემდეგ, მოგვდიოდა უსიამოვნება, გვინდა გავიყოთ ზიარი როგორც მიწა ისე დანარჩენი ქონებაც, მაგრამ ამის ნებას არ გვაძლევენ. გვკითხებით, თქვენ, როგორ გსურთ მტრები ერთად გვაცხოვრეთო“. ჩვენი პასუხი დღეს ასეთია: მორიგდით. მიუხედავად იმისა, რომ პასუხი მეტად სიმპატიურია, ის მაინც იწვევს უსიამოვნებას, ვინაიდან გლეხი მოითხოვს თავის ნაჭერ მიწას მისთვის. ჩვენს სინამდვილეში ასეთი შეზღუდვის გატარება ცხოვრებაში ყოვლად შეუძლებელი გახდა, რის გამო მუხლები: 48, 55 და 56 გაუქმებულ უნდა იქნას.

საკითხი მესამე

დავები მიწის სარგებლობის შესახებ

დღეს მიწის დავები იყოფა ორ ნაწილად: 1) მიწის მოწყობის პროცესში აღძრული, რომელსაც იხილავს და აწესრიგებს მიწად-მოქ. კომისარიატის და მის ადგილობრივი ორგანოები, 2) უფლებრივი მხარე მიწით სარგებლობისა თვით მოსარგებლეთა შორის აღძრული, რომელსაც იხილავს სახალხო სასამართლო. ორად გაყოფა, ამ ერთ და იგივე საკითხისა მოსათმენი იყო მხოლოდ იმ წლებში, როდესაც ვატარებდით აგრარულ რევოლიუციონურ რეფორმას, სოფლად დარჩენილ ფეოდალურ ნაშთების ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრის მიზნით, 23—24 წ.წ. ეს მიზანი სრულებით იქნა მიღწეული და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს მიწა მხოლოდ მიწის მუშის ხელშია. დღეის შემდეგ ეს უნდა შეიცვალოს იმ წესით, რომელიც მიღებულია საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებში, ე. ი. ერთი ფორმა მიწის გარშემო აღძრულ დავისა, იქნება ის მიწის მოწყობის პროცესში თუ მის გარეშე. მაგალითად: ძმა-ძმას ედავება: ეს ნაჭერი მე მეკუთვნის და არა შენი, ასეთ დავებს არსებულ დებულების თანახმად სადგილ-მამულო ორგანოები ვერ არჩევენ, არამედ ისინი შედიან სახალხო სასამართლოს კომპეტენციაში და მომჩივნები მიმართავენ მას. სასამართლო აქ უხერხულ მდგომარეობაშია და საქმის არსებითად განხილვამდე ეკითხება მომჩივანს: იყო თუ არა მის სოფელში მიწისმზომელი, მოხდა თუ არა ამ სოფელში კომლეურად მიწების განაწილება; თუ მომჩივანი „ჰოს“ იტყვის მაშ სასამართლო მოითხოვს სათანადო საბუთს, რომ ეს ნაჭერი მიწა, რომელზედაც მას ედავება ძმა ან მეზობელი, არის მის მიჯნაში, და თუ ასეთი ვერ აღმოაჩინდა მომჩივანს, მაშინ სასამართლო ვერ არჩევს საქმეს. ამაში სასამართლო მართალია, ვინაიდან სხვა გამოსავალი მას არა აქვს. დავუშვათ ასეთი შემთხვევა, რომ სასამართლომ გაარჩია ასეთი სოფლის მცხოვრების საჩივარი, სადაც არ ჩატარებულა მიწის მოწყობა; ორი თვის შემდეგ ჩავიდა მიწის მომწყობი და, თანახმად მიწათმოწყობის ინსტრუქციისა, დაარღვია სასამართლოს დადგენილება (ვინაიდან მას არ შეუძლია იხელმძღვანელოს სასამართლოს დადგენილებით მიწის მოწყობის დროს, არამედ ხელმძღვანელობს კოდექსით და ინსტრუქციით),—მაშინ ხომ დაეცა სასამართლოს ავტორიტეტი ხალხის თვალში. რა სასამართლოა ის, რომლის დადგენილებას მიწისმზომელი უბრალო ქაღალდის ნაჭრად აქცევს. ვიცით რა ასეთი მდგომარეობა მხედველობაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია მუხლები: 161, 162, 163, 164 და 165 შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად.

მუხლი 161. ყველა სადაო საქმე, რომელიც აღიძვრის მიწათმოწყობის დროს და აგრეთვე ყოველგვარი დავა მიწის სარგებლობის უფლებაზე, როგორც მაგალითად: ჯგუფური თუ ინდივიდუალური მიწის სარგებლობა, საზოგადოებიდან მიწის გამოყოფა, სათემო მიწების ხელახალი დაყოფა და სხვა, უნდა გარჩეულ იქნას მაზრის სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაში და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სადგილ-მამულო საბჭოში, რომლებშიდაც საქმე ირჩევა საჯაროდ, მხარეთა დაბარებით და ზეპ
თი წესით.
მუხ. 162. მაზრის სადგი
ლო კოლეგიას შეადგენენ ს
მოსამართლე, მაზრის აღმას
ლი კომიტეტის სადგი
ლო განყოფილების გამგ
მაზრის მიწათმომწყობი
ველის თავმჯდომარეობით.
ადგილ-მამულო საბჭოს შე
იუსტიციის კომისარიატის კო
წევრი და მიწათმოქმედების
სარიატის მიწათმოწყობის გა
ლების გამგე, პირველის თა
მარეობით.
მუხ. 163. მაზრის სადგი
ლო კოლეგია საქმეს იხილ
სწყვეტს არსებითად და საბ
ხოლო სადგილ-მამულო ს
როგორც საკასაციო ინსტანც
მუხ. 164. სადგილ-მამულ
ჭო, როგორც პირველი ინს
არჩევს დავებს სამაზრო საზ
შესახებ და აგრეთვე დავებს,
ლებიც აღიძვრიან სახალხო მ
ბის მიწების მოწყობის დროს.
მუხ. 165. საჩივარი მაზრ
ადგილ-მამულო სასამართლო
გიის გადაწყვეტილებაზე უნ
ტანილ იქნას სადგილ-მამულ
ჭოში ორი კვირის ვადაში,
საჩივარი სადგილ-მამულო ს
როგორც პირველი ინსტანცი
დაწყვეტილებაზე,—ერთი თვ
დაში ცენტრალურ აღმასრუ
კომიტეტის პრეზიდიუმში.

საკითხი მეოთხე.

საძოვრების იჯარ

საკითხი საძოვრებისა და ს
ხელმწიფო სადგილ-მამულო
ბის იჯარით გაცემის საქმეს
ბა და ის უფრო საორგანიზა
სიათისაა და არა პრინციპი
მუხლი 111 მიწის კოდექსისა ამ
„მიწათმოქმედების კომის
ევალება საზაფხულო და საზ
საძოვრების მოწყობა და მათ
რით გაცემა; მისივე გამგებ
და განკარგულებაშია სათევზ
გილები და ქვის სატეხი“.
ლის განხორციელება დღეს
ში გამოიხატება: კომისარიატ
რიგებს საძოვრებს მათი ლო
შესწავლით. გეგმის აღებით,
გაყვანით, საძოვრების დანაწ
მესაქონლეთა შორის საქონლ
დენობის დაგვარათ, მესაქ
შორის საძოვრების გარშემო
დარ დავების გადაჭრით, დას
ბულ საძოვრების ნორმაში მ
და სხვა. მაგრამ გარდა ამის
სარიატი თავის თანამ
საშუალებით იღებს საძოვრებ
რის ფულს მესაქონლეთაგან
აქვს ნახევარი ხაზინაში, ხო
ხევარი სამაზრო აღმასკომის
ზიტში.
იბადება საკითხი, რას წარ
გენს ამ შემთხვევაში მიწათმ
დების კომისარიატი? იჯარის
რეფს. რატომ უნდა იყოს
რატომ ეს ფისკალური
არ სრულდება იმ და
ლებაში, რომელსაც ეს საქმე
შეეფერება ე. ი. ფინსახკომის
ბაში? იქ, ამისათვის სათანადო
რატიც არის და საშუალება.
რის ფულის აკრეფის საქმეში
რათ ერევიან კოოპერატიული
წესებულებები. საქმე როთულ
სხვადასხვა ფინანსიური და
მიცემობის მოსაზრებით და
მიწათმოქმედების კომისარიატი
მოდის მორალური და ფაქტ
პასუხისმგებელი. როცა საძოვ
შემოსავალი კომისარიატს შესდ
როგორც სამნეო ხარჯზე
ოგრანოს, მაშინ ასეთი წესი საჭ
და აუცილებელიც იყო, ეხლა კ
ზედმეტი ბარგათ აწევს მიწათმ
ყობის ხარჯებს და ამ ხარ
თითქმის ნახევარი მასზე
მართალია ყველა ცნობები ს
რების ნაკვეთების მდგომარე
გეგმები და ყოველგვარი აწ
მიწათმოქმედების კომისარიატის
შია და იქვე დარჩება, ამისით
უძლებელია საძოვრების მოწყ
მაგრამ საჭირო ცნობების მი
ყოველთვის შეუძლია ფინსახკ
ფულის ამკრეფ აგენტს.
ამის გამო უფრო მიზანშეწონ
იქნებოდა სათანადო მუხლი მ
კოდექსისა გადაკეთებულიყო
დეგნაირათ: „მიწათმოქმედების
მისარიატს ევალება საზაფხულო
საზამთრო საძოვრების მოწყობა
გახარისხება, ხოლო ფინანსთა
ბას მათი იჯარით გაცემა და იჯა
ფულის აკრეფა“.

საკითხი მეხუთე

შეღავათი მიწის იჯარ

ეს საკითხი წამოიჭრა თანახ
ცეკას პლენუმის დადგენილე
ამა წლის 30 აპრილს. ის გუ
ხმობს მეტ შეღავათს მიწის იჯა
გაცემაზე. ჩვენი მიწის კოდექსით
მოდენიმედ შეზღუდულია მ
იჯარით გაცემის უფლება ს
სოფლის მეურნე გლეხებზე ც
პლენუმმა ამ ნაკლს მიაქცია სა
ნადო ყურადღება და გამოი
დადგენილება ამ ნაკლის გამოს
რების შესახებ. აქ მარტო სოფ
მეურნე გლეხი როდი იჩაგრება ა
მედ ის ფიზიკური მუშებიც, რ
ლებსაც კოდექსის 67 მუხლის
ლით აქვთ უფლება მიწის ნახ
ნორმაზე, მაგრამ არა აქვთ ამ
ხევარ ნორმის იჯარით გაცემის უ
ლება, ეს მუშებს ძალიან ავიწ
ვებს. ზოგ შემთხვევაში იძულებუ
არიან ან მიწას დაანებონ თავი
სამრეწველო მუშაობას. ჩვენის
რით არც ერთია მისაღები და ა
მეორე. ჩვენი პირობებს, რომ
ლებდით მხედველობაში, იმიტ
იყო, რომ ფიზიკურ მუშებს მი
ნახევარი ნორმა. რაკი ეს დაკან
ნებულია, მაშინ ლოღიკური იქ
ბოდა ამ ნახევარი ნორმით სარგე
ლობის საშუალებაც მიგვეცა იჯ
რით გაცემის სახით. ამიტომ მი
კოდექსის 26 მუხლს უნდა დაემატ
„შენიშვნა: უფლება მიწის იჯ
რით გაცემისა აქვს ყველა იმ
სუსტებულ სოფლის მშრომელ
ურნეს და აგრეთვე ფიზიკურ შრომ
იმ პირთ, რომელთაც ამ კოდექ
67 მუხლის ძალით უფლება აქ
მიწის ნახევარ ნორმაზე“.
მუხ. 26-ს პირველი ნახევარი შ
ცვალოს შემდეგ ნაირათ: „მიწ
იჯარის ვადა არ უნდა აღემატებ
დეს 12 წელს.“
ასეთია ჩვენი აზრით ის ცვ
ლებები, რომლებიც უნდა იქნენ შ
ტანილი მიწის კოდექსში.

ქვაჩაძ

---

*) დისკუსიის წესით.

პარიტეტული კონტრ-რევოლიუციის გასამართლება

პირველი დღე

დილის სხდომა

15 ივლისს, 12 საათისა და 5 წუთზე გაიხსნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხდომა „პარიტეტული კომიტეტის საქმის“ შესახებ.

სასამართლოს შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე: გ. ვაშაძე, სასამართლოს წევრები: ი. სტურუა და ი. ცინცაძე.

სასამართლოს სათადარიგო წევრები: პავლე მელაძე და ივანე ზერზერაშვილი.

სახელმწიფო ბრალმდებელი: ნიკოლოზ ოკუჯავა.

საზოგადო ბრალმდ[illegible]: სერგო ქავთარაძე.

დამცველათ გამოდიან: ჩერქეზიშვილი ივანე, მესხიშვილი შალვა, გუბელაძე, რიჟამაძე, დადიანი შოთა, ბოკერია ევგენი, პოლუმორდვინოვი, ჯაფარიძე ივანე, ნასიძე, ზედგენიძე ივანე, ტატიშვილი ანდრია, მაჭავარიანი იოსებ, გელაზაროვი და ლვაშიჩავა.

პასუხისგებაში მიცემულია შემდეგი 47 კაცი:

ანდრონიკაშვილი კონსტან., ონიაშვილი დავით, ჯინორია გრიგოლ, ქარცივაძე ნიკოლოზ, ბილანიშვილი ვალერიანე, ნაკაშიძე ნიკოლოზი, ანჯაფარიძე გიორგი, კალანდარიშვილი აკაკი, ლატარია ესტატე, ფიჩხაია აკაკი, ხურციძე პართენ, ესვანჯია ლავრენტი, ჯავახიშვილი იასონ, კალანდარაშვილი შალვა, ავალიშვილი ივანე, ბერიძე ვლადიმირ, თვალთვაძე გრიგოლ, გიორგაძე გრიგოლ, იმნაიშვილი ნიკიფორე, ნინიძე კირილე რცხილაძე გრიგოლ, დადიანი სამსონ, ბოჭორიშვილი მიხეილ, იზხნელი მიხეილ, ფანცულაია არტემ, ცინცაძე გრიგოლ, ბელთაძე გენადი, კახიანი ნაპოლეონ, მამალაძე ვლასა, შენგელია თეოფილე, იოსელიანი შალვა, ლაშხია ხარიტონ, ძაძამი ალექსანდრე, ხოფერია სიმონ, პირველი ბიძინა, გაბლიანი ევნატე, კეირიკაძე ამბროსი, ლორთქიფანიძე ივანე, ჭანიშვილი მიხეილ, ფანობაშვილი იაკობ, ნაცვლიშვილი ვახტანგი, გეგეჭკორი ვლადიმერ, ბოკერია ალექსანდრე, ჩხაიძე ალექსანდრე, გოგოლაშვილი გაბრიელ, ლორთქიფანიძე კონსტანტინე, ბახტაძე აპოლონ.

პირველ სხდომაზე სასამართლომ შეამოწმა ბრალდებულების ვინაობა და მისცა სათითაოდ შეკითხვა ბრალდებულებს იმის შესახებ, მიღებული აქვთ, თუ არა მათ საბრალმდებლო დასკვნა. ბრალდებულებისაგან დასტურის მიღების შემდეგ თავმჯდომარემ მიმართა მხარეებს კითხვით აქვთ თუ არა მათ რაიმე განცხადება დამატებითი მოწმეების გამოწვევის ან სასამართლო გამოძიებისათვის საჭირო მასალებისა და დოკუმენტების მოთხოვნის შესახებ. დამცველები და ბრალდებულები გამოვიდნენ მთელი რიგი განცხადებებით მოწმეების გამოწვევის და საქმეში ზოგიერთი მასალების შეტანის შესახებ.

სასამართლო გავიდა სათათბიროდ და ნახევარი საათის შემდეგ დააკმაყოფილა დამცველთა და ბრალდებულთა მოთხოვნილებანი, რამდენადაც მათ შეეძლოთ ახალი ცნობები მისცენ სასამართლოს და გააშუქონ თითეული ბრალდებულის მოღვაწეობა სპვა დასხვა დროს.

ამის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ვაშაძის განკარგულებით შემოყვანილი იქნენ მოწმეები, რომელთაც ჩამოერთვა ხელწერილი, როგორც მიღებულია კანონით იმის შესახებ, რომ ისინი სრულ სიმართლეს ეტყვიან სასამართლოს.

გამოწვეულია სულ 57 მოწმე.

საღამოს სხდომაზე ბრალდებულებს წაუკითხეს საბრალმდებლო ოქმი.

კამოს ძეგლის გახსნა

ივლისის 15,—დღე, როდესაც დაიღუპა სახელოვანი რევოლიუციონერი ამხ. კამო.

საღამოს ექვსი საათია.

პუშკინის ბაღი გაჭედილია მოზღვავებული ხალხით.

20 წლის წინად სწორედ ამ ალაგს ამხ. კამო შეთქმული ამხანაგებით გაუძღოდა წინ დემონსტრაციას, მიდიოდა მეფის ჯალათებზე თავდასასხმელად.

სწორედ იმ ალაგს, სადაც ხალხი ყოფილა მოწმე მისი საარაკო თავგანწირულობის, მარხია იგი და მის საფლავზე აღმართულია მაღალი ძეგლი, რომელიც შეუსუდრავათ თეთრი სამოსით.

ხალხი სულგანაბული მოელის ამ სამოსის ჩამოხსნას, რომ დაინახოს, თუ როგორ გადაეცემა მომავალ თაობებს კამოს თავგანწირული გმირობა, მისი გატაცება და შეუპოვრობა.

—საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით,—ამბობს ოდნავი მღელვარებით ამხ. ფილიპე—იმ თავგანწირული რევოლიუციონერის და ძვირფასი ამხანაგის კამოს ძეგლს გახსნილად ვაცხადებ.

უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმისთანავე ძეგლს სწრაფად სამოსი სძვრება და ხალხის წინაშე იშლება უმშვენიერესი სანახაობა: მაღალ კვარცხლბეკზე სდგას ქვისაგან გამოკვეთილ შეთქმულ მუშათა ჯგუფი, რომელნიც წელში ოდნავ მოხრილნი ყუმბარებით ხელში მისწრაფიან მტარვალთა ასაფეთქებლად. მათ წინ მიუძღვის კამო. სახის მეტყველება, გაშიშვლებული მკერდების და მთელი სხეულის კუნთების მოხაზულობა სუნთქავენ უძლეველი ენერგიით, სიმტკიცით და რკინისებური გამძლეობით.

ქანდაკებაში გადმოცემულია კამო როგორც აჯანყებულთა წინამძღოლი, როგორც ხელჩართულ ბრძოლაში გადავარდნილი მეთაური და აჯანყების ინიციატორი.

მოქანდაკისგან ძლეულია ქვა, მისი უძრაობა და სიმძიმე.

კამოს ძეგლი არის რევოლიუციის განსახიერება, მისი დაუსრულებელი წინმსვლელობა.

ეს ქანდაკება, ისე როგორც კამოს სიცოცხლე, მისი საზღაპრო ცხოვრება, იქნება მოწოდება ბრძოლისა და აჯანყებისა.

იქ, სადაც თანამედროვეთა სიტყვა სუსტი იქნება კამოს გმირობის გადმოსაცემად, ამეტყველდება ეს ქვა, რომელიც სიტყვაზე უფრო მძლავრად აგრძნობინებს მნახველს იმ შინაგან ცეცხლს, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწვავდა ამ ლეგენდარულ პიროვნებას.

ამხ. ფილიპეს შემდეგ სიტყვებს ამბობენ ამხ. ლუკაშინი, ს. თოდრია და გ. ყურულიშვილი.

ხალხი უსმენს მათ, მაგრამ ამავე დროს თვალი ვერ მოუშორებია ამ ძვირფასი ძეგლისათვის, რომელიც ორატორთა სიტყვებზე უფრო მძლავრად გადმოგვცემს, თუ ვინ იყო კამო და რა გააკეთა მან ხალხისათვის.

თბილისის მუშა - ხალხმა ზეიმით და სიხარულით გახსნა ეს ძეგლი რომელიც არის პირველი ძეგლი, კამოს დიდი სულისკვეთების და ამასთანავე რევოლიუციის ტემპის გამსახველი.

მ—ი.

წიგნი კამოზე

კამოს ტრაღიკულად დაღუპვის სამი წლის თავზე ს. კ. პ. პარტიის განყოფილებამ გამოსცა ს. დ. მიერ შედგენილი კამოს საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფია. წიგნი შეიცავს 55 გვ., ღირს 30 კაპ.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. პლენუმი

ა. წ. 10 ივლისს გაიხსნა განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის პლენუმი, რომელსაც დაესწრენ ყველა მაზრების წარმომადგენელნი, დღის წესრიგში დასმული იყო 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) ინფორმაციული მოხსენება განათლების მუშაკთა სრ. საკავშირო ცენტრ. კავშირის შესახებ. 3) ც. გ. სატარიფო ეკონომიური მუშაობა, ადგილებზე მუშაობის შესახებ და სხვა. პლენუმი გაგრძელდა 13 ივლისამდე.

მოხსენებები ადგილებიდან

მოხსენებები გააკეთეს ოზურგეთის, გორის და სენაკის მაზრების წარმომადგენლებმა, რომელთა მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ზემოხსენებულ მაზრებში კავშირი ორგანიზაციულად ძლიერია. მასწავლებლობა უკვე საბჭოთა იდეის ნამდვილი და ერთგული პროპაგანდისტია, რომელიც მიუძღვის სოფლის არა მარტო კულტურულ მუშაობას, არამედ ხელმძღვანელობს მთელ თემის სამეურნეო მშენებლობასაც. სოფლად მასწავლებელი ზრუნავს აგრეთვე თავის კულტურული დონის—პედაგოგიური, პროფესიონალური და პოლიტიკური შეგნების ამაღლებას, რისთვისაც მთელ რიგ რაიონებში მოწყობილია სხვადასხვა ხასიათის თვით განმავითარებელი წრეები.

რამდენად კარგად არის დაყენებული კულტურული დარგი, იმდენად მოისუსტებს სატარიფო ეკონომიური მუშაობა. პროფმუშაკი-მასწავლებლები ადგილებზე ვერ ერკვევიან საკონფლიქტო კომისიების ფუნქციებში; ვერ არის ჩამოყალიბებული კავშირის და განათლების განყოფილების ურთიერთობა, მაგრამ სატარიფო მუშაობის ყველაზე მეტ უარყოფითი მოვლენად ჩაითვლება დავალიანება, რომელსაც ადგილი აქვს მთელ რიგ მაზრებში.

განათლების მუშაკთა კავშირის სრ. საკავშირო ცენ. კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამხ. ქაცარავამ ინფორმაციული ხასიათის მოხსენება გააკეთა განათლების მუშაკთა სრულიად საკავშირო ცენტრ. კომიტეტის პლენუმის შესახებ. ც. კ. პლენუმს ჯამი გაუკეთებია კავშირის ფინანსიური მდგომარეობისათვის, რომელიც ამჟამად სასურველ დონეზე ყოფილა დაყენებული. ეხლა კავშირი გადადის ერთიანი ხარჯთ-აღრიცხვითი სისტემაზე. ამ სისტემის ცხოვრებაში გატარებას შეუდგება ჩვენი გამგეობაც. ც. კ. 1925 წ. პირველი ნახევრის ბიუჯეტი უდრის 163.207 მან.

ც. კ. პლენუმზე მოხსენებით გამოსულა საბჭოთა სოც. რესპუბლიკათა კავშირის ფინანსთა კომისარიატის წარმომადგენელი. მისი მოხსენებით საბჭოთა კავშირში სახალხო განათლებაზე მიდის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი. სახალხო განათლების საერთო ხარჯის 1 მესამედი მოდის სახელმწიფო ბიუჯეტზე. 2 მესამედი კი ადგილობრივ ბიუჯეტზე. სახალხო განათლება ადგილობრივ ბიუჯეტის 25 პროცენტს შეადგენს. სახელმწიფო იღებს აგრეთვე 150 მილიონ მან. სუბვენციას (დახმარებას). სუბვენციის დიდი ნაწილი მასწავლებელთა ხელფასს ხმარდება. სახალხო განათლების ბიუჯეტი პროცენტებში გაცილებით მეტია, ვინემ ეს ომამდის იყო.

სხვა მრავალ საკითხებს შორის, რომლებზედაც ცენტრ. კომიტეტის პლენუმმა იმსჯელა. ფრიად საყურადღებო ყოფილა ამხ: აპლეტინის მოხსენება მასწვლებელთა ინტერნაციონალის შესახებ. ამჟამად მსოფლიოში მასწავლებელთა ორი ინტერნაციონალი არსებობს. ერთი—რევოლიუციონურადაა განწყობილი და მოთავსებულია პარიზში (პარიზის ინტერნაციონალი), მეორე—ინგლის-ამერიკული და ბურჟუაზიული.

ჩვენი კავშირი შედის პარიზის ინტერნაციონალში, ს. ს. რ. კ. დელეგაციის წინადადებით, კონგრესმა მასწავლებელთა ინტერნაციონალის ნაცვლად—განათლების მუშაკთა ინტერნაციონალი უწოდა. ჩვენი წარმომადგენლები შედიან ინტერნაციონალის აღმასკომში. ჩვენი გავლენა ინტერნაციონალზე დიდია.

ც. გ. პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ამხ. გეგენავას მოხსენება—სატარიფო-საეკონომიო მუშაობაზე.

ხელფასის საკითხი

ამხ. გეგენავა ფართედ შეეხო მასწავლებელთა ხელფასის საკითხს მაზრებში ამჟამად გატარებულია შრომის ახალი, ერთიანი ნორმები. სატარიფო ცხრილია 1:8 მინიმუმში 6 მან. 60 კაპ. თბილისში ჯერ კიდევ ძიელი დატოვებული ნორმებია ამჟამად მუშავდება მომავალ სამოსწავლო წლის ბიუჯეტი. განათლების კომისარიატის და კავშირის შეთანხმებული ბრძოლის საგანია ნორმალურ პირობებში იქნეს ჩაყენებული განათლების მუშაკთა მდგომარეობა, კერძოთ დღეს, ამ მხრივ, ბევრ დეფექტებს აქვს ადგილი. მასწავლებლობის ნაწილი სახელმწიფო კმაყოფაზეა, ნაწილი კი ადგილობრივზე. პირველთა მდგომარეობა შედარებით კარგია. ყოველ შემთხვევაში თავის ჯილდოს დროულად მაინც ღებულობენ. უკანასკნელთა მდგომარეობა აუტანელია. ხშირად დავალიანება რამდენიმე თვეს უდრის. ცუდ პირობებშია ჩაყენებული მასწავლებლის დატვირთვის საქმე. პროვინციაში განსაკუთრებით ერთ მასწავლებელს რამდენიმე ჯგუფთან უხდება მეცადინეობა. კავშირის გარკვეული ხაზია ერთ ჯგუფზე (კლასზე) ერთი მასწავლებელი. ახალი ბიუჯეტისთვის მასწავლებლის საშუალო ხელფასი (ერთი განაკვეთი) ნავარაუდევია 40 მან.

კავშირის ინიციატივით გატარებულია მთავრობის 2 ფრიად საყურადღებო დადგენილება: ერთი მასწავლებელთა საზაფხულო ხელფასის შესახებ, მეორე—ინტერნატის (?) ის დაწესებულებათა მუშაკების შევბულებაზე.

დიდი მუშაობა ჩაატარა კავშირმა საკურორტო დახმარების ორგანიზაციის საქმეში. გარდა ამისა, რომ განაწილებულია ადგილები სახელმწიფო სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში, კავშირმა საკურორტო ბარაკებიც შეიძინა.

მუშაობის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო აგრეთვე პენსიების საკითხი. ყოველგვარი მასალები ამ მხრით გამზადებულია და სოციალური დამზღვევის ცენტრ. სამმართველო უკვე შეუდგა განცხადებების განხილვას.

დასასრულ ამხ. გეგენავამ წარუდგინა პლენუმს მომავალი (საზაფხულო) მუშაობის გეგმა.

ამხ. ფანცულაია თავის მოხსენებაში შეეხო ადგილობრივ მუშაობაში შემჩნეულ დეფექტებს. ასეთები საკმაოდ ყოფილა და ამდენადვე ამხ. ფანცულაიას მოხსენება ფრიად საყურადღებო და ფრიად საინტერესო იყო.

დასასრულ მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუციები.

მუშათა ცხოვრება

მჭედავთა კლუბში

(შთაბეჭდილება)

14 ივლისს, აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი „მჭედავთა კლუბში“, სადაც გაიმართა ქართული სიმფონიურ მუსიკის საღამო სახალხო არტისტის კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის ნაწარმოებიდან კომპოზიტორისავე ხელმძღვანელობით. საღამოში მონაწილეობას იღებდენ სახ. საოპერო თეატრის არტისტები, გ. ქარცივაძე და მაზოვეცკაია. ქარცივაძემ შეასრულა მურმანის არია „აბესალომ და ეთერიდან“. ხოლო მაზოვეცკაიამ „მაროს ტირილი“ „დაისიდან“ და კონცენატა „აბეს. და ეთერიდან“.

9 ნახ. საათზე კლუბის თეატრი ხალხით არის გაჭედილი და მოუთმენლად ელის საღამოს დაწყებას. სცენაზე გამოჩნდა კომპოზიტორი ფალიაშვილი. დაჰკრა მუსიკამ და ჰაერი გაავო ქართულ მუსიკის საამო ჰანგებმა. ხალხი გატაცებით უგდებს ყურს სულის და გულის დამატკბობელ „იავნანას“ და სხვა ჰანგებს, სტკბება.

თეატრის გარეთ არ ისმის ჩვეულებრივი ყლავი-ყლუვი. მთელ ბაღში სამარისებური სიჩუმე სუფევს. გაყუჩებულან თვით ხეები, ჩვეულებრივად არ შრიალებენ. და ამ სამარისებურ სიჩუმეში წყნარად გაისმის მუსიკის ხმა, ურბენს ახლო-მახლო ადგილებს და მირბის შორს... შორს..

როგორც თეატრში, ისე თეატრის გარეთ მყოფი ხალხი სულგანაბული უგდებს ყურს. ის შეუპყრია მუსიკას და სტკბება მისი საამო ხმებით, მისი ჰანგებით...

11 ნახ. საათზე საღამო გათავდა და სიამოვნებით დამტკბარმა ხალხმაც მიატოვა კლუბის ბაღი.

მუშა ნიკო ა.

უნდა მოხვდეს წითელი ცოცხი ასეთ „კოოპერატორს“.

გომის „ეპოს“ გამგეობაში შედიოდა ა | წ. 26 მარტიდან 15 მაისამდე სიმონ ბაბლიძე ხსენებულ გამგეობის წევრად; 15 მაისიდან ის იქნა მოხსნილი თანამდებობიდან.

ამ დროის განმავლობაში მან თვითნებობით გაიტანა გომის განყოფილებიდან სხვადასხვა ფართლეულობა და ნაღდი ფულიც.

როდესაც ის მოიხსნა გამგეობის წევრობიდან, მას გაჰყვა „ეპოს“ ვალი 47 მანეთი და 89 კაპ., რომელიც დღემდე არ შემოუტანია.

ჩვენ მივმართეთ მას წერილობით, კოოპერატივის კეთილდღეობისათვის, რათა მას დროზე შემოეტანა ეს ფული.

მოქ. ბაბლიძეს ფული არ შემოაქვს და ამით კი კოოპერატივის მუშაობა ფერხდება.

წითელი ცოცხი ასეთ „კოოპერატორს“.

გომის „ეპოს“ გამგეობა.

[illegible]

თუ გნებავთ, რომ [illegible] ბავი მაზრით, მობრძანდით თბილისის სადგურზედ, საიდანაც იგზავნება და ღებულობენ ხილეულობას და აი აქ ნახავთ სწორედ ახირებულ რამეს: რანაირი ყუთიც არ უნდა იყოს გასაგზავნი, ან მისაღები ხილით, აუცილებლივ უნდა გახსნან აქაურმა დამტვირთავმა მუშებმა და გაინაწილონ, უკანასკნელმა ექვსმა კაცმა მაინც.

ასე იყო, მაგალითად, 9 ივლისს. სტვირთავდნენ რონოდას № 333.322-ს. ხილით სავსე ყუთებს დახვეოდნენ ექვსი მუშა და ივსებდნენ ჯიბეებს ხილეულობით. საკვირველია, რაღას აგზავნიდნენ იმის ნაცვლად დანიშნულ ალაგას. ცარიელ ყუთებს, თუ რას? ამას უყურებდენ თვით ამ მუშების უფროსები, მაგრამ მაინც არაფერს ეუბნებოდნენ.

საჭიროა მიექცეს ყურადღება და მიღებული იქნეს ზომებიც, რომ ჩვენი ტრანსპორტის პრესტიჟი არ შევლახოთ.

მუშკორი შხამი.

მისაბაძი მაგალითი.

(წერილი ჭიათურიდან)

ჭიათურის საავადმყოფოს არ ახსოვს ასეთი წარმატება, როგორიც დღეს აქვს. ყველა მნახველები გაკვირვებულნი არიან საავადმყოფოს სისუფთავით და საუკეთესო დისციპლინით მოსამსახურეთა შორის. მოვლაც საუკეთესოა ავადმყოფების. ამავე დროს აღსანიშნავია ექიმ გამრეკელის მუყაითობა. თავს დასტრიალებს მუდამ ავადმყოფებს და თანაც სცდილობს, რაც შეიძლება მოაწყოს საავადმყოფო. ასეთი ექიმი მაგალითის მიმცემია სხვებისათვის.

მადლობა და დღეგრძელობა ასეთ მუშაკს.

ავადმყოფი ნ. გიგინეიშვილისა.

იმედია შემდეგში არ განმეორდება.

(რკინის გზის სამმართველოს და ამხ. უ. ც. დ. ივანოვის საყურადღებოდ).

კახეთის მატარებლებზე ხშირად ხდება ღვინის სმა, ქეიფი, სიმღერები. მგზავრები თითქოს სამიკიტნოებში იმყოფებოდნენ და არა მატარებელზე და ამას კი მატარებლების კონდუქტორები ყურადღებას არ აქცევენ.

ნუ თუ არ შეიძლება ამნაირ შემთხვევებში მიიღონ სასტიკი ზომები რევიზორებმა ავარების დაჯარიმებით რკინის გზის სასარგებლოდ. ამითი მხოლოდ შეიძლება ლოთობის მოსპობა.

მუშკორი ვარდი.

საქართველოს მევენახე-მეღვინეთა ცენტრალური კავშირის დაარსება

14 ივლისს წარმოკავშირის ბინაზე შესდგა საქართველოს მეღვინეთა ამხანაგობების წარმომადგენელთა თათბირი, რომელსაც დაესწრენ ს. კ. პ. ცეკას და კოოპერატიული კომისიის წარმომადგენლები და წარმოკავშირის გამგეობა.

თათბირზე განხილული იყო საქართველოს მევენახე-მეღვინეთა რესპუბლიკანური კავშირის შექმნის საკითხი.

მეღვინეობის ცენტრის მიზნებზე და დანიშნულებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. მგალობლიშვილმა.

მოხსენების შემდეგ თათბირმა რესპუბლიკანური ცენტრის დაარსებისათვის საჭიროდ იცნო შემდეგი ღონისძიებათა გატარება:

მევენახე-მეღვინეთა ძირითადი ორგანიზაციების დავალიანების საკითხის მოსაწესრიგებლათ თათბირი საჭიროთ სთვლის მევენახე-მეღვინეთა ორგანიზაცებს გაეხსნათ გრძელვადიანი სესხი მთავრობისაგან, დარჩენილი ვალების გადახდის ვადა კი გაგრძელებული უნდა იქნეს ერთი წლით მაინც.

მევენახე-მეღვინეთა ამხანაგობების მუშაობის გასაჯანსაღებლათ საჭიროა კახეთში არსებულ მეღვინეთა ამხანაგობების სამოქმედო რაიონების გამოკვეთა და გამიჯვნა.

ამასთანავე საჭიროა ამხანაგობების მმართველ ორგანოების გადატანა მათ სამოქმედო რაიონში. აუცილებელია აგრეთვე ზედნადები ხარჯების შემცირება და აპარატის შემოკლება; ამხანაგობები თავის მუშაობაში უნდა ეყრდნობოდენ თავის წევრებს, რომლებთანაც მათ უნდა განამტკიცონ კავშირი.

მევენახე-მეღვინეთა რესპუბლიკანურ ცენტრში შევლენ როგორც მეღვინეთა სპეციალური კოოპერატიული ამხანაგობები, არტელები და კომუნები, ისე შერეული ხასიათის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობები, რომლებიც აწარმოებენ ღვინის დამზადება-გასაღებას. ამასთანავე სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები რჩებიან წარმოკავშირის წევრებათ.

რესპუბლიკანური ცენტრის ფუნქციას შეადგენს თავის წევრთა მევენახეობის ნაწარმოებთა დამზადება გადამუშავება, მევენახეობა-მეღვინეობის საჭირო მანქანა-იარაღების და მასალების მომარაგება და აგრიკულტურული დახმარების გაწევა მევენახე-მეღვინეთათვის. რესპუბლიკანური ცენტრი შედის წევრათ წარმოკავშირში, რომელიც მას უწევს ორგანიზაციულ-იდეურ ხელმძღვანელობას.

დასასრულ არჩეული იქნა მეღვინეთა ამხანაგობების ცენტრალური კავშირის საორგანიზაციო ბიურო, რომელშიაც შედიან: ლადო დუმბაძე, გერ. მგალობლიშვილი, ი. გოქაძე, გ. ელისაბედაშვილი, გ. ვარამაშვილი, გ. ბერიძე და ნიკ. საყვარელიძე.

ბიუროს დავალებული აქვს შეიმუშავოს ცენტრის წესდება და საკითხის საბოლოოთ ჩამოყალიბების მიზნით მოიწვიოს რაიონებში თვითეული ამხანაგობის საერთო კრება, სადაც დასმული უნდა იქნეს საკითხი მეღვინეთა ცენტრის შექმნის შესახებ.

საერთო კრებები ირჩევენ რწმუნებულებს, რომლებიც შემდეგ იკრიბებიან ერთად და საბოლოოთ აყალიბებენ მეღვინეთა ცენტრალურ კავშირს ფორმალურათ.

ჩვენი შინამრეწველობა

შინა-მრეწველობას საქართველოში ჯერ კიდევ უძველეს დროში მისდევდენ. ამზადებდენ ლითონის სხვადასხვა ნივთებს, იარაღებს, ავეჯეულობას და სხვას. დახელოვნებული იყვნენ აგრეთვე თიხის წარმოებაშიც, რასაც მოწმობს არქეოლოგიური ნაშთები. ძველ დროს განთქმული იყო ქართული მატყლის, აბრეშუმის და ტილოს (სელის) ქსოვილები, ოქრო-ვერცხლის, ბრინჯაოს და თითბერის სამკაულები და ნივთები.

საქარხნო წარმოება თითქმის არ არსებობდა და დღესაც ამგვარი წარმოება სუსტად არის განვითარებული ჩვენში. ამავე დროს ჩვენს ქვეყანაში მრავლათ არის ყოველგვარი ნედლი მასალა, რომელთა გატანას საზღვარ-გარეთ მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო პირობები უშლიდა ხელს.

ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ძველად საქართველოში შინა-მრეწველობის სხვადასხვა დარგების წარმოების აღორძინებას და, განვითარებას.

ამ ხანად საქართველოში გავრცელებული და უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი 8 დარგის წარმოება: 1) მაუდეულობის ქსოვა, 2) აბრეშუმეულის ქსოვა, 3) ხალიჩების ქსოვა 4) კალათების ქსოვა, 5) თიხის წარმოება, 6) ხის დამუშავება, 7) ცოცხის დამზადება, 8) ქეჩების და ნაბდების წარმოება.

ამ რვა დარგის გარდა საქართველოში კიდევ ბევრი სხვა დარგებია, რომლებსაც თავისი მნიშვნელობა აქვთ ხალხის ცხოვრებაში: ლითონის, მატყლის, რქის ძვლის, გიშრის დამუშავება, ქარგვა ოქრო-ვერცხლით; თავსაკრავების, ლეჩაქების, არშიების ქსოვა და სხვა.

დასავლეთ საქართველოში შინამრეწველობის ზემოაღნიშნულ 8 დარგში მუშაობს 49.000 კომლი, ანუ 85.000 მუშა-ხელი; აღმოსავლეთ საქართველოში კი შინა-მრეწველობაში ჩაბმულია 17.581 კომლი.

უნდა აღინიშნოს, რომ შინა-მრეწველობის დარგების მდგომარეობა და მნიშვნელობა საქართველოში არაისოდეს არ ყოფილა გამოკვლეული; შინა-მრეწველთა რეგისტრაცია და მათი პროდუქციის აღნიშვნა არავის არ მოუხდენია და 100.000 შინა-მრეწველი თავის ანაბარა არის მიტოვებული.

ერთად-ერთი ცნობები, რომლებიც არსებობს ამ დარგში, ეკუთვნის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, რომელმაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შინა-მრეწველობის განყოფილების თხოვნის გამო, სასოფლო მეურნეობის 1923 წ. აღწერის დროს სხვათა შორის, გაკვრით აღნიშნა 8 დარგის შინა-მრეწველთა რიცხვი.

შინა-მრეწველობის საქმეს უმთავრესათ ეწევა დედაკაცობა: მატყლის დამუშავება, შალების, აბრეშუმეულობის, ხალიჩების ქსოვა, ცოცხის დაწვნა; მამაკაცები კი მუშაობენ თიხის, ხის და ლითონის დამუშავების დარგში.

სპეციალობის გამოანგარიშებით შინა-მრეწველობის მარტო 8 დარგის წლიური პროდუქცია უდრის 7.718.000 მანეთს. ფრთხილი ანგარიშის შემდეგ გამოირკვა, რომ შინა-მრეწველობის პროდუქცია შედარებით მეტია სამთომადნო და ქალაქის საცენზო პროდუქციაზე.

მიწათ-მოქმედების კომისარიატის შინამრეწველობის განყოფილების მიერ მიღებული ღონისძიებებით, მთელი რესპუბლიკა დაყოფილი იქნება შინამრეწველობის 30 რაიონათ. ყოველ რაიონში იქნება შინა-მრეწველობის პუნქტი.

ყოველ პუნქტში იქნება მოწყობილი სამოსწავლო სახელოსნო, სადაც ღარიბ გლეხკაცთა მოზარდი თაობა შეისწავლის შინა-მრეწველობის საქმეს საუკეთესო დაზგების და მანქანების საშუალებით.

მიმდინარე საბიუჯეტო წელში დაარსებული იქნება 10 პუნქტი. შემდეგში კი ყოველწლიურად გაიხსნება ხუთ-ხუთი პუნქტი. ამრიგად 5 წლის პერსპექტიული გეგმის დასრულების შემდეგ რესპუბლიკაში უკვე იქნება შინა-მრეწველობის 30 სარაიონო პუნქტი.

შირაქის ნავთის კონცესია

კონცესიონერები შეუდგენ ნავთის წყაროების გამოკვლევას.—მუშაობა დამთავრდება სექტემბერში.—ნავთის ამოღება სწარმოებს 150 მეტრის სიღრმიდან.—სპეციალისტების აზრით, შირაქის ნავთი ღირსების მხრივ უკეთესია ბაქოს ნავთზე.—მუშაობის გასაძლიერებლათ ახლო ხანში ევროპიდან მიღებული იქნება გაუმჯობესებული მანქანები.

ჩვენ გაზეთში უკვე იყო გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს ს. მ. ე. ს. შირაქის ნავთის წყაროები კონცესიათ მიეცა იტალია-ბელგიის ნავთის მრეწველთა საზოგადოებას.

ამ საკითხის შესახებ ჩვენს თანამშრომელს ს. მ. ე. ს. დამატებით აცნობეს შემდეგი:

იტალია-ბელგიის ნავთის მრეწველთა საზოგადოება უკვე შეუდგა პატარა შირაქის ველის ნავთის წყაროების გამოკვლევას. საკონცესიო ხელშეკრულების ძალით, ეს გამოკვლევა უნდა დამთავრდეს სექტემბრის ბოლო რიცხვებში, მაგრამ ეს მუშაობა ამ ხნისათვის ვერ იქნება დასრულებული, რადგან მუშაობა ჯერ-ჯერობით ხდება მხოლოდ ზედა ფენებში.

ამჟამად იქ მუშაობს 12 ცხენის ძალის ერთი საბურღი ელექტრომანქანა, რომელიც მიწას ბურღავს მხოლოდ 150 მეტრის სიღრმეზე. ჯერ-ჯერობით ამოკვლეულია ნავთის ორი წყარო, საიდანაც ამოღებულია 40 ფუთი ნავთი.

ბელგიელ სპეციალისტების აზრით, შირაქის ნავთი ღირსების მხრივ უკეთესია ბაქოს ნავთზე. ნავთს ძლიერი გაზი აქვს და მის შემადგენლობაში ბენზინიც მეტია. მუშაობის ხელმძღვანელების სიტყვებით, რაც უფრო ღრმად მოხდება მიწის ბურღვა, მით უფრო უკეთესი ღირსების ნავთი იქნება ამოღებული.

ნავთის შემადგენლობის სრული ანალიზი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ახლო ხანში ევროპიდან მიღებული იქნება მძლავრი საბურღი მანქანები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება ნავთის ამოღება 1.000 მეტრის სიღრმიდან.

გამოკვლევას დამთავრების შემდეგ კონცესიონერები შეუდგებიან საკონცესიო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შენობების აგებას და ნავთის დამუშავებას. ახლო ხანში მოსალოდნელია მუშაობის ფართოდ გაშლა.

კონცესიონერები შირაქის ნავთზე დიდ იმედებს ამყარებენ.

საბჭოთა სასამართლო

უცაბედი მკვლელობა

აღმ. საქართ. ოლქის სასამართლოში, გაირჩა ბრალდებული იაკოვენკოს საქმე. მას ბრალი ედება დანაშაულში, რომელსაც ითვალისწინებს სისხ. სამართლის კოდექსის 150 მუხლი. (გაუფრთხილებლობა).

ბრალდებული იაკოვლენკო, მსახურობდა ა | კავკას. საგანგებო კომისიაში მდივნის თანამდებობაზე.

თბილისიდან სოღანლუღის მიმართულებით, მიმდინარე წლის იანვრის ბოლო რიცხვებში, საბარგე ავტომობილით გაემგზავრა 25-მდე მონადირე.

ქალაქიდან გასვლის შემდეგ, ავტომობილის კამერა გასკდა, მონადირენი ძირს ჩამოხტენ და აღნიშნულ მიმართულებისაკენ ჯგუფ-ჯგუფად ფეხით წავიდენ.

ერთ ჯგუფს, უკან ჩამორჩა დაზარალებული ნიკოლაევი. იქვე გზაზე სხვა ავტომობილმა ჩამოიარა. უეცრად თოფი გავარდა და მიწაზე კვენესით დაეცა ღობეს აფარებული ნიკოლაევი. მიღებულ ჭრილობისაგან ის მაშინვე გარდაიცვალა.

მონადირეებმა კარგათ გაიგონეს სროლის ხმა. გაეშურნენ სროლის ადგილზე და მეტად გაუკვირდათ, როცა მათი ამხანაგი მოკლული ნახეს.

დაიწყეს მსროლელის ძებნა. მსროლელი ბრალდებული იაკოვენკო აღმოჩნდა.

საქმის წინასწარ გამოძიების და სასამართლოს ძიების დროსაც, ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ იცნო და განაცხადა, რომ თოფი მან ძაღლს ესროლა; უკანასკნელი მას ნადირად მოეჩვენა და სხვ.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულათ ცნო და ბრალდებულ იაკოვენკოს მიუსაჯა ერთი წლით გამასახლში მოთავსება.

ვინაიდან ბრალდებული საბჭოთა ხელისუფლებისათვის მავნე ელემენტს არ წარმოადგენს, ცაკის მესამე სესიის ამნისტიის ძალით სასამართლომ მას სასჯელი პირობით შეუცვალა.

ქრონიკა

საავტომობილო გადარბენა ლენინგრადი-თბილისი

ლენინგრადში მიიღეს „ფიატის“ ფირმის 10 ავტომობილი სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ამ დღეებში ლენინგრადში მოელიან იტალიის ცნობილ შოფერ კანიოს.

— ა | კ. ფ. ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ყრილობა, რომელიც უნდა გახსნილიყო 20 ივლის შესდგება 27 ივლის.

— **რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში** გასაგზავნ სტუდენტებს შორის ადგილები უკვე განაწილებულია. სათანადო მანდატების მისაღებად სტუდენტები უნდა გამოცხადდენ განათლების კომისარიატში, იმ ვარაუდით, რომ უმაღლეს სასწავლებლებში წამსვლელთა საბუთები მიიღონ 25 ივლისამდე. გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოს.

— **რუსეთის კომუნისტური აღზრდის** აკადემიაში შემსვლელთა განცხადებები მიიღება 15 ივლისიდან. აკადემიაში მისაღები გამოცდები და შემოწმება დაიწყება 1—15 სექტემბრამდე.

— **ტყავტრესტის** ფეხსაცმელების საკერავ ქარხანაში მომუშავე მუშებს ჯამაგირი გაუდიდდათ 15 პროც.

— **ჰიგროსკოპიული ბამბის** დასამზადებლად ბამბის ქარხნის დირექციამ გადასწყვიტა მოაწყოს ცალკე ქარხანა.

— **ჭირის წინააღმდეგ.** მიწადმოქ. კომისარიატის შრატის დასამზადებელ სადგურებში ივნისის განმავლობაში დამზადებული იქნა: საქონლის ჭირის საწინააღმდეგოთ 560 ლიტრა შრატი, ღორის ჭირის —15 ლიტრა, ციმბირის წყლულის —16,000 ვაქცინა და ამავე სენის საწინააღმდეგოთ 30 ლიტრა შრატი.

— **სატყეო ტრესტს** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა საექსპლოატაციოდ გადასცა სიღნაღის მაზრის სახელმწიფო ტყეები.

— აცრა. მიწად-მოქ. კომ. სავეთერინარო-სანიტარულ განყოფილების ცნობით, გასულ თვეში მაისთან შედარებით აცრილი იქნა 4850 ჯერ მეტი საქონელი.

— **დამატებითი დახმარება.** უმუშევართა დამზღვევ განყოფილებამ ივნისში დაზღვეულ უმუშევრებს ფულადი დახმარების სახით მისცა 12,558 მან.

— **ძუძუმწოვარა ბავშიანობის** გამო შრომის უნარს მოკლებულ დაზღვეულ ქალებს ივნისში დამზღვევ კასამ მისცა 4,744 მან.

— **თბ. დამზღვევ კასამ** პროვინციებსა და სხვა რესპ. კასების წევრებს ივნისში მისცა 1417 მან.

— **ბამბის მოწევის კამპანია.** შინა ვაჭრობის კომისარიატი შეუდგა 1925—26 წ. ბამბის მოწევის კამპ. ჩატარების გეგმის შემუშავებას

— **მეთამბაქოეობის აღორძინებლად.** წარმოკავშირმა დაადგინა პირველ რიგში სესხის მიცემით დაეხმაროს იმ რაიონებს, სადაც თამბაქოს წარმოება დაცემულია.

— **თბილისის სამრეწველო ტეხნიკუმს** თბ. საფონდო ბირჟამ გაუდიდა ყოველთვიური დახმარება 400 მანეთამდე.

— **წარმოკავშირმა შეიძინა** ვაზის საქიმო ვერმორელის სისტემის 100 აპარატი.

— **გლეხკომების** ცენტრალურ კომიტეტმა გადასწყვიტა ხელი შეუწყოს საქართველოში რუსეთში ახლად გამოგონებულ სახლის სათბობების (ფეჩების) გავრცელებას, რომელიც ჯდება მეტად იაფად.

— **გლეხკომების** მუშაობის გამოკვლევისა და გაცხოველების მიზნით, საქ. გლეხკომების ცენტრ. კომიტეტმა სიღნაღის და თელავის მაზრებში მიავლინა თავის წარმომადგენელნი.

— **ს. პ. კ. ს. კულტ-განყოფილ. სალექციო-საექსკურსიო ბიურო.** 16 ივლისს, საღამოს 8 ს., ტრამვაელების კლუბში (პლეხანოვის ქ. № 182) დანიშნულია ამხ. ნ. სტრელეცკის ლექცია: „მზე და პლანეტათა სამყარო“.

ხელოვნება

მოსკოვის ქართული დრამატიული სტუდია

1 ამა ივლისს მოსკოვის სახ. ქართულმა დრამატ. სტუდიამ (მჭედლიშვილის სახელობის) დაამთავრა გასულ სამოსწავლო წლის მეცადინეობა.

სტუდიაში იმყოფება 16 მოსწავლე. უმთავრეს სამოსწავლო საგნებს შეადგენდენ:

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცოდნა, სულიერი ტეხნიკა მსახიობისა, რითმი და წარმოდგენის ჩამოყალიბება, სცენიურ ხელოვნების სპეციალური ცოდნა, დიქცია და ხმის დაყენება, იმპროვიზაცია, ფიზკულტურა და სხვა.

აგრეთვე უმთავრეს სამეცადინო საგნებს შეადგენდენ: ქართული სიმღერა-გალობანი და მუსიკის ელემენტ. თეორია (მასწ. ონიაშვილი), საქართვ. კულტურის ისტორია, ქართული მეტყველება და მისი გამოთქმის თავისებურობანი (შ. დადიანი).

როგორც ანგარიშიდანა სჩანს, სტუდიელები მრავალ თანამედროვე საკითხებს წმინდა მარქსისტულად უდგებიან.

ყველა დარგში სტუდიელებს ეტყობათ ნაყოფიერი მუშაობა. განსაკუთრებულის გულმოდგინებით ისმენდენ ლექციებს ქართველი ენისა და კულტურის შესახებ.

ლექტორ დემიდოვის აზრით სტუდიაში სჩანს ნამდვილი კოლექტიური შემოქმედება და არა მარტო პიროვნული. და თუ ამ გზით გაგრძელდა მუშაობა, ეს მიგვიყვანს ჩვენ იმ საუცხოვო ანსამბლამდის, რითაც განირჩევა ყველა ჭეშმარიტათ მხატვრული შემოქმედება.

მეორე ლექტორი ვოლკოვი ასე ახასიათებს სტუდიას:

„სტუდიამ თავის თავი გაგვაცნო როგორც მჭიდროთ შეკავშირებული . რაზმი მუშაკებისი. გატაცებულნი ხელოვნებით, შეკავშირებულნი ღრმა და სერიოზული მიდგომით საქმისადმი, ამ ჯგუფში უეჭველად არის ჩასახული მორალურ-იდეოლოგიური სიძლიერე ხელოვნებისა, რასაც თეატრისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვსო“.

მჭედლიშვილის გარდაცვალების შემდეგ სტუდიას ხელმძღვანელობს ქართველი მწერალი და მსახიობი შ. დადიანი.

სიმფონიური კონცერტი

ქართული მუსიკის საღამო

14 ივლისს მჭედავთა კლუბში (ყოფ. სტელლა) გაიმართა ქართული სიმფონიური კონცერტი. პროგრამაში შედიოდა სახალხო მსახიობის კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალური ნაწარმოები. კონცერტი დაიწყო ოპერა „დაისის“ უვერტიურით. რომელიც შესრულებული იყო ლამაზათ. საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა სიმფონიურმა სურათმა „იავ-ნანამ“. პირველი განყოფილება დამთავრდა მხიარული ლეკურით და პოეტური უზუნდარით ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“.

მეორე განყოფილებაში შესრულებული იქნა ინტერმეცო ოპერა დაისიდან „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“. პროგრამის მეორე ნაწილიც დამთავრდა ლეკურით ოპერა „დაისიდან“. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო ოპერის მსახიობმა ქარცივაძემ და მაზოვეცკაიამ. პირველმა შეასრულა არია „აბესალომ და ეთერიდან“, მეორემ—„მაროს ტირილი“ ოპერა „დაისიდან“ და „მარიხის სიმღერა“ „აბესალომ და ეთერიდან“.

პ. ბ.

— **ხელოვნების სახლის გამგეთ** სახელოვნების მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. ციცაგი.

— **პროლეტკულტს** საქ. ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდიუმმა გადასცა 200 მან. პროლეტარულ ხელოვნების საქმის საჭიროებისათვის.

— „**დედოფლის შეთქმულება**“. დღეს, ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება უკანასკნელად.

— **ვანო სარაჯიშვილის სახელობის ხელოვნების სახლი.** (ოპერის ბაღი) ხუთშაბათს, 16 ივლისს პროლეტკულტის მიერ რუსულ ენაზე წარმოდგენილი იქნება ორ მოქმედებიანი ინსცენიროვკა „იძლევი ახალ ქორწინებას“. დასაწყისი საღ. სრულ 9 საათზე.

— **განათლების მუშაკთა კლუბში** დღეს წარმოდგენა ქართულ ენაზე. 7 საათზე ლექცია ამხ. ლინგელის.

— **ცენტრალურ მუშათა კლუბში** პარასკევს, 17 ივლისს 1925 წ. არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად დრამატიული დასის მიერ გამართული იქნება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია „სოვეტსკი ჩორტ“ კომ. 3 მოქ. იურინისა.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 10 ივლისს სოფ. არჯევანში (წალკის რაიონი) მამედ გული ოღლიმ ხანჯლით დასჭრა აბას ისმაილ ოღლი. დამნაშავე შეიპყრეს.

— **ჯიბგირობა.** 13 ივლისს ჯარისკაცთა ბაზარზე გ. ავაქოვს ჯიბიდან მოპარეს საფულე.

— **ქურდების შეპყრობა.** 11 ივლისს მოქ. მარცვაევმა მილიციას აცნობა რომ სომხის ბაზარზე ფართლეულობის მაღაზიიდან № 26 მუდმივად იპარავდენ საქონელს. შეიპყრეს ვართანოვი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთების ნაწილი.

— **ქურდობა.** 15 ივლისს არსენალის ქ. № 12 მცხოვრებმა არსენ აიჟიანმა განაცხადა რომ მისი ბინიდან მოიპარეს 300 მან. ნივთები.

— **ბოქლომის გატეხვის** საშუალებით 15 ივლისს რუსთაველის პრ. № 36 გაქურდეს მოქ. ა. ნაცვლიშვილის ბინა.

— **შეპყრობა.** 14 ივლისს ანასტასიევის ქ. № 7 გაქურდეს გ. პანენკოს ბინა. ქურდი ლორთქიფანიძე შეიპყრეს ნაქურდალი ნივთებით.

— **თავდასხმა.** 13 ივლის ღამით თეატრალური ქ. № 18 მეეზოვე ბ. პოგისოვს თავს დაესხა 2 ბოროტმოქმედი ფულის დახარჩვის მიზნით, მაგრამ ვერ მოახერხეს.

— **უბედური შემთხვევა.** 14 ივლისს დღით რუსთაველის და სასახლის კუთხეში ა | კ. რკინის გზის ავტომობილმა გაიტანა მოქ. ხ. მელქონიანი. შოფერი რაჟკოვი შეიპყრეს.

სოფლად

მორიგი გამარჯვება სააღმშენებლო ფრონტზედ

ასრულდა ქობულეთის მშრომელთა დიდი ხნის სურვილი. 6 ივლისს გაიხსნა ქობულეთ-ლელვა-ოზურგეთის გზატკეცილი. ერთი წლის წინად, ამ გზაზე რომელიც დამაკავშირებელია გურია-ქობულეთ-ბათომის, ურმებით დიდი გაჭირვებით გადიოდენ, ვინაიდან აღმართი, უსწორ-მასწორი, ტალახიანი და ვიწრო გზა იყო.

6 ივლისს დილის 10 საათიდან აუარებელმა ხალხმა იწყო დენა ლელვაში, სადაც მოელოდენ ბათომიდან ძვირფას სტუმრებს. ყველა დიდი აღტაცებული იყო გზის გახსნით და სტუმრების შეხვედრით.

მაჰმადიანი ქალებიც დაესწრო ამ ზეიმს, რაც მაჩვენებელია წითელი აჭარისტანის წინმსვლელობის. მინდორში გრიალებდა დაულ-ზურნა. ნაშუადღევის 1 საათზედ გზატკეცილზე გამოჩნდა ავტომობილები, რომლის დანახვაზე ხალხის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდათ. მოსულ სტუმრებში იყვნენ ამხ. ამხ. ხიმშიაშვილი, მოწყობილი, თ. ქლენტი გოგიბერიძე და სხვები. განყოფილების წარმომადგენელი ამხ. ს. მენაბდემ გახსნა საზეიმო მიტინგი ილაპარაკეს ადგილობრივმა გლეხებმაც.

სტუმრებმა დიდი მადლობა უძღვნა ფუხარა ხალხს იმ დიდი შრომისათვის, რაიც ხალხმა გაიღო ოზურგეთში გზის გაყვანაზე.

საღამოს ლელვაში გაიმართა უფასო კინო, რომლითაც მცხოვრებნი დიდათ კმაყოფილი დარჩნენ.

ალექსანდრე კაურელი.

უწყლო დაბა

(ჩხარი შორ. მაზ.)

ახლო-მახლო ჩვენს დაბას არ მოეპოვება მდინარეები, რის გამოც ეს დაბა ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.

1.500 სულზე არის მხოლოდ ერთი წყარო, რომელშიდაც გამოდის საათში 120 ვედრო წყალი. ეს, რა თქმა უნდა, სრულებით ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას.

ამასთანავე ერთად ეს ერთი წყაროც თანდათანობით შრება, ყოველწლივ წყალი აკლდება. ეს დაამტკიცა დ. ჩხარში ყოფნის დროს, საუღელტეხილო ელექტროფიკაციის გეგმაში მომუშავე ინჟინერთაგანმა, რომელმაც საფუძვლიანად გამოიკვლია ამ წყაროს ეხლანდელი მდგომარეობა და მისი მომავალი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დ. ჩხარში ყოველ კვირაში იმართება დიდი ბაზრობა—პარასკეობა, სადაც მოდიან რაჭა-ლეჩხუმიდან ოკრიბიდან და ქვემო იმერეთიდან.

ადგ. თემ-საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა საქ. წყალთა მეურნ. სამმართველოს წინაშე, რომ უკანასკნელმა გაუწიოს მას დახმარება წყლის გამოსაყვანათ საჭირო მილებით დუღაბით და სხვით.

წყლის გაყვანა დ. ჩხარში განზრახულია 4 ვერსის მანძილიდან, „ორღაროს" მდიდარ წყაროდან, რომელიც საკმარისი იქნება ზემოხსენებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ბ—ს.

წერილებიდან

ს. ცაიში (ზუგ. მ.) აქაურ კოოპერატივს არა აქვს ფურნე, რის გამოც ადგილობრივი გლეხობა კერძო ვაჭარს უცვივდება ხელში. სამაზრო ეპომ უნდა მოაგვაროს ეს საკითხი.

ოლოსი.

—

შაშქვის თემი (რაჭა) ჩვენს სოფელში ჯანგრეულია გზები, არ არის ხიდები და აღმასკომი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამას. ის შემადგენლობით ძველი დარჩა არჩევნების დროს ახალი წევრი აღმასკომში არ შესულა.

ჯეჯვრისპირელი.

—

ს. ობუჯი (ზუგ. მ.) ჩვენი გლეხების ბავშვების 50 პროც. სკოლის გარეთ დარჩენ, ინტელიგენციაც გარბის აქედან. წარმოდგენები ძალების უყოლობით არ იმართება. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა თითქმის მიჩქმალულია. მთავარი მიზეზია—შვიდწლედის უქონლობა, რომლის გარშემოც თავს მოიყრიდა ზემო ჩამოთვლილ საქმეების ხელმძღვანელი ძალები.

ჩვენს მრავალ ცდას ობუჯში სკოლის გახსნის შესახებ—არავითარი შედეგი არ მოყვა. გლეხობა მაინც იმედს გამოსთქვამს, რომ ზაფხულის განმავლობაში მოხერხდება ჩვენს სოფელში შვიდწლედის გახსნა.

ოკუჯელი.

ხეთა-საქირიო (ზუგ. მ.) სოფლის სკოლას თავის ბინა არ გააჩნია. ორი შენობა იყიდა საზოგადოებამ სკოლისათვის, მაგრამ ზოგიერთ მოსახლეთა ჯიუტობის გამო, რომლებიდანაც ყველა თავის ახლო ცდილობს სკოლის დადგმას, საქმე დღემდი ვერ მოწესრიგდა. ამასობაში ერთი სახლი თოვლმა ჩაამტვრია ამ ზამთარში. მეორე ლპება და ინგრევა.

ბიტუ.

—

სიღნაღი მაზრის სატყეო განყოფილების გამგე მიხეილ ჯიჯავაძემ გაფლანგა სახაზინო ფული 1612 მანეთი. სასამართლოს დადგენილებით, რომელმაც საქმე ადგილობრივ საჯაროთ გაარჩია, ჯიჯავაძეს მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა და დაკმაყოფილებულ იქნა სიღნაღის აღმასკომის სამოქალაქო ძიება გაფლანგული ფულის ასანაზღაურებლათ. გლეხობა კმაყოფილი დარჩა განაჩენით.

მეთვალყურე.

—

ს. ერწო (თბილ. მ.) ამას წინად თბილისის ლომბარდი შეგვპირდა, რომ აიღებდა ჩვენზე შეფობას. მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო და დანაპირი შეუსრულებელი რჩება. ცენტრალურ საშეფო კომისიამ მაინც უნდა გაუწიოს ამას ანგარიში და მიიღოს ზომები ჩვენი სოფლის ქალაქელ მშრომელებთან დასაკავშირებლად.

გულდამწვარი ხევსური.

სოფლის ქრონიკა

— **ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა სოფლად.** სოფ. ზემო-ქედის, ქვემო-ქედის და არშალის კალოს (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებლებმა საერთო სოფლის ყრილობაზე თავის სოფლიდან გადაასახლეს 38 კაცი, რომლებსაც ბრალდებათ მუდმივი ქურდობის ჩადენა და მცხოვრებლების შეწუხება.

— **გლეხთა საკრედიტო ამხანაგობანი** გაიხსნა სოფ. პსირცხეში და გულირიპშეში (სოხუმის მაზრა). ორივე ამხანაგობას ძირითად თანხად აქვს 15,000 მან.

— **გორის აღმასკომმა** ელსადგურის № 1 გადასაკეთებლად მისი გაძლიერების მიზნით გადასდო 12 ათასი მან.

— **შორაპნის აღმასკომმა** გადასწყვიტა გლეხობასთან დაახლოების მიზნით სამაზრო აღმასკომის პლენუმები მოიწვიოს მაზრის სხვადასხვა ადგილზე. მორიგი პლენუმი მოწვეული იქნება ხარაგოულში.

— **სოფ. თავასი** (შორ. მაზრა), თემ-აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ადგილობრივ საექიმო პუნქტის გახსნის შესახებ.

— **ახალ ქალაქის** სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა გადასცეს სამაზრო სამხ. კომისარიატს ერთი ცხენი მიმოსვლის საჭიროებისათვის.

— **სკოლების გასახსნელად.** სოფ. ვახანში და ლელვიან ღელეში (შორაპ. მაზრა) გადაწყვეტილია დაარსდეს 4 წლიანი შრ. სკოლები მომავალი სამოსწავლო წლიდან.

— **საგზაო კომისიები.** ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის მოწერილობით ყველა სოფლებში შესდგა საგზაო კომისიები, რომლებმაც უნდა ითავონ სასოფლო გზების შეკეთება-გაყვანა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ბინის ქირის შესახებ

კითხვა.

მე ვსცხოვრობ ყოფ. ახვერდოვის მამულში მიქელაძის სახლში. ამ სახლის კარიდორში მიჭირავს ერთი პატარა ოთახი სივრცით ცხრა კვადრატიული არშინი. სახლის პატრონი მახდევინებს თვიურად ბინის ქირად ექვს მანეთს. მე ვმსახურობ მუშკოოპში; ვღებულობ თვეში 35 მანეთს. ვარ კავშირის წევრი (წიგ. № 3043) აღნიშნული ქირის გადახდა არ შემიძლია, სახლის პატრონი კი ნაკლებზე არ მჯერდება.

გთხოვთ გამაგებინოთ, თუ რამდენი უნდა გადავიხადო კანონის ძალით ბინის ქირა.

მუშა ხაჩიძე

პასუხი

თვიურად ბინის ქირად იხდით თვრამეტ კაპეიკს (18 კაპ).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომის პრეზიდიუმში ა/წ. 16 ივლისს, დღეს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადასარიცხავად და პარტიაში კანდიდატებად მისაღებად.

კანდიდატობიდან წევრად გადარიცხვა: 1. ლ. ფ. არხიპოვი, 2. გ. ო. ამბარცუმოვი, 3. დ. ნ. აკოპოვი, 4. მ. ს. ასტვაცატუროვი, 5. ა. გ. ბატიევა, 6. ზ. ს. მუსტაფაშვილი, 7. ც. მ. ვაისმანი, 8. ე. დ. გოლბა, 9. ს. მ. გრიგოლია, 10. ა. ა. გორსკი, 11. ა. ი. გერასიმენკო, 12. პ. ნ. ევტუშევსკი, 13. გ. გ. ქობულაშვილი, 14. გ. ნ. კაციევი, 15. ს. მ. სტეფანოვი, 16. გ. ზ. მურალოვა, 17. ა. ს. მინასიანც, 18. ტ. ლ. მონდაკუნი, 19. ლ. ბ. მაჩკალოვი, 20. ვ. დ. მაისურაძე, 21. კ. მ. ნაზაროვი, 22. გ. ა. ნურიჯანოვი, 23. ა. ვ. ნოვიკოვა, 24. ს. ა. პაპაიანცი, 25. ა. ზ. სარქისოვა, 26. ნ. დ. სკვორცოვი, 27. დ. დ. ტერ-არუტიუნოვა, 28. მ. ნ. ტოხანოვი, 29. ს. ტ. ულიშკინი, 30. ი. მ. ხატისოვი, 31. ვ. კ. ასაშვილი, 32. რ. გ. მარშუევი, 33. ნ. ი. საჩკოვი.

კანდიდატებად მისაღებნი: 34. ა. მ. პეტროსიანი, 35. ც. ნ. ტუმასოვი, 36. ს. ე. აბრიაშვილი, 37. მ. ი. ავდანოვი, 38. ს. გ. ატაშიანი, 39. კ. ს. არიუტინოვი, 40. მ. ე. გოდერძიშვილი, 41. ს. ი. გურასანიანცი, 42. ბ. ბ. გვიჩია, 43. ა. ი. გვარამაშვილი, 44. ა. ს. გალუსტოვა, 45. ლ. დ. გაბუნია, 46. მ. კ. გერმანაშვილი, 47. პ. დ. დოდუკოვი, 48. რ. ა. დჯაგინოვი, 49. მ. გ. ენგიბაროვი, 50. ა. გ. ყაზაროვი, 51. ა. დ. მარტიროსიანცი, 52. ი. ი. მამაჯანოვი, 53. პ. ი. ნავასარდოვი, 54. ბ. ი. ნურიჯანოვი, 55. პ. ი. ოსინი, 56. ვ. პ. სებუა, 57. მ. ა. თუმანოვი 58. ა. მ. ფილოტოვი, 59. ფ. ი. ფირტიჩი, 60. მ. ს. ფილიპოვი, 61. მ. დ. უგრეხელიძე, 62. ს. მ. ხაჩატურიანცი 63. გ. ი. ქელიძე, 64. ი. კ. ჩიორნი, 65. ა. ი. ჩუბინაშვილი, 66. ა. მ. შაგირიანცი, 67. ზ. ი. ჟღიაშვილი, 68. გ. მ. ბიბილაშვილი, 69. ა. ნ. გირსაკოვი, 70. მ. კ. ბულასარიანი, 71, ვ. ს. კრასავინი, 72. ა. ე. ჟდანოვი, 73. გ. ა. მაროზოვი, 74. ი. ი. მთვარალაშვილი, 75. ა. ს. პეტროვა, 76. მ. ფ. რუდნიკოვი, 77. ო. ა. სარქისოვი, 78. ლ. მ. საკიანი, 79. გ. ტომასიძე, 80, ვ. ს. თომაევი, 81. ა. ა. ტონოიანცი, 82. ა. კ. უმიკაშვილი, 83. ფ. ხარხილაური, 84. მ. ა. ქელიძე, 85. ს. მ. ერანბაბოვი 86, და ა. ათაბეკიანი

მდივანი მგელაძე.

— თ. კ. აღმრიცხ.-გამნაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს სამი დღის განმავლობაში ამხ. კვირიკაძესთან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

მარკოზოვ გეურქ, საყვარელიძე სვიმონ, წვერავა აკაკი, კიკვაძე გიორგი, გორგოშიძე ალ., გიშტაშვილი ერმოლოზ.

— ცენტრალური საკანტროლო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ცენტრალურ საკანტროლო კომისიაში რუსთაველის პროსპ. № 24, მე-3 სართული 9 ოთახი, ა/წ. 18 ივლისს დილის 10 საათზე.

1. დავიდენკო ალექსანდრე ვასილის ძე, 2. კაკოევი ალექსანდრე, 3. სამყურაშვილი მიხეილ ბესარიონის ძე, 4. მატიენკო ვასილ ამბაკოს ძე, 5. ფიდოიანი ა. 6. კარაგლიშვილი.

ცენტრ. საკანტრ. კომისიის მდივანი ვ. ლოლობერიძე..

— კომკავშირის თბ. კომიტეტი იუწყება: 18 ივლისს მოწვეულია კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელსაც უნდა დაესწრონ მაზრის რაიკომის მდივნები, ქალაქის რაიკომების ბიუროთა წევრები და კოლექტივების მდივნები.

დღის წესრიგი: 1. კომკავშირის საერთო საკავშირო მე-4 კონფერენციის შედეგები. 2. თ. კ. პრეზიდიუმის ანგარიშები, 3. თბ. ორგანიზაციის უმახლობელესი ამოცანები, 4. მოხსენებანი 1 რაიკომის და გარე-კახეთის რაიკომებისა.

დასწრება სავალდებულოა ყველა ჩამოთვლილ ამხანაგებისათვის.

კომკავშირის თ. კ. მდივანი გობეჩია.

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება: დღეს, 16 ივლისს, საღამოს 6 ს. რაიკომის ბინაზე მოხდება სააგიტ. წრეების მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენაზე.

განცხადებები

თამარა ვარლამის ასული, ვლადიმერ ამბაკოს ძე და პატარა ტაჩაკუნი ცაგარლები, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს რომ 13 ივლისს ტრაგიკულად გარდაიცვალა პირველის საყვარელი მამა, მეორეს სიმამრი და მესამეს ბაბუა

ვარლამ იორდანეს ძე ცაგარელი

გამოსვენება საკუთარი ბინიდან (ყიფიანის ქუჩა № 17) და დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე 16 ივლისს, დღის 4 საათზე.

№ 1990—1—1

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების სააფთიაქო სამმართველო აცნობებს ამხანაგებს, რომ ა/წ. ივლისის 13-ს გარდაიცვალა სამმართველოს მე-14 აფთიაქის თანამშრომელი პროვიზორი

ამხ. ვარლამ იორდანეს ძე ცაგარელი

ცხედარს გამოასვენებენ დღეს, 16 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე ყიფიანის ქ. № 17 საკუთარ ბინიდან.

№ 1992—1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე პელაგი, ცოლის და ლიზა, შვილი ილიკო და ნათლული ფაფია აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათის ძვირფასი და დაუვიწყარი

ანთიმოზ ივანეს ძე ჯულელი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 16 ივლისს ქ. სოხუმში.

2—2 ნ. 1488

პარტიულ და საბჭოთა სკოლების სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების, მუშათა ორგანიზაციების და კლუბ-სამკითხველოების და

ყველასა და ყველას საყურადღებოთ

საქართველოს პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობის წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიამ

მიიღო დიდძალი ახალი საქონელი

და მომავალშიც ასეთს ყოველთვის თავის დროზე მიიღებს

მიღებულია როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის შემდეგი საქონელი:

ქაღალდი პელიკანი 18 მან.
საზღვარგარეთის კნოპკა კოლოფი 70 კაპ.
რუსეთის საკონსესიო ელმასის ფაბრიკის ქაღალდი 6 მან.
ლენტი „პელიკონი" საზღვარგარეთის 6 მან.
იგივე რუსეთის საკონ. ელმასის ფაბრიკის 2 მან. 20 კაპ.
გატოვილნიკები 15 მანეთიდან ზევით.
კანტორის საანგარიშო ჩოთქები 3 მ. 25 კაპ. 11 მ. 20 კაპ.

მიღებულია აგრეთვე დიდძალი

ალბომის, ყდის, მაგიდის გადასაფარებელი და სხვა ქაღალდებიკალკა სხვადასხვა ნომრები, საუკეთესო ხარისხის პორტფელები, გადასაღები (Копировальн.) წიგნები, კალმები ევრიკა და სხვ. ყველა „ლეონარდის" ქარხნისა, სამელნეები საკავშირო ნიშნითა და სხვა

ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები

საქონელი იყიდება ყველაზე როგორც წვრილად, ისე ბითუმად

საგრძნობლად დაკლებულ ფასებში

წიგნის მაღაზიას უშუალო კავშირი აქვს დაკავშირებული საკანცელარიო ნივთების დამამზადებელ ტრესტებთან და რუსეთის ყველა დიდ გამომცემლობასთან

ყოველ დღე ვღებულობთ ჩქარი ფოსტით ახალ-ახალ ლიტერატურას

ფასები ყოველგვარ კონკურენციის გარეშეა

საქონლის დაკვეთა შეიძლება ფოსტითაც, საქონლის ღირებულების ერთი მეოთხედის წინასწარ გადმოგზავნით.

საქონელი მოითხოვეთ შემდეგ ჩვენ მაღაზიებში:

მაღაზია № 1 ცენტრალური, რუსთაველის პრ. № 22.
„ № 2 ვაგზლისა და გოგოლის ქუჩ. კუთხე.
„ № 3 ვოლოდარსკის ქ. № 9 გლეხთა სასახლის ქვეშ.
„ № 4 პლეხანოვის პრ. № 101
„ № 5 კომინტერნის (ყოფ. სასახლის) № 4.

განყოფილება სიღნაღში.

ნის. № 1454—5—3 პატივისცემით გამგეობა.

თბილისის ქალაქის ლომბარდი (ლორის მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას 19 ივლისს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში.

ნის. 1495—1—1

ამ შვიდი წლის წინად იყო წასული ტომსკში

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე თვალოშვილი

რომლის ამბავი ამ შვიდი წლის განმავლობაში არ გვაგვია და არც ვიცით სად იმყოფება. გთხოვთ თუ კი ვინმემ იცით ამ პიროვნების ამბავი მაცნობოთ ქ. ცხინვალში ანნა ალექსანდრეს ასულ თვალოშვილს.

1985. 1—1

ჩრდილოეთ-კავკასიის საოლქო კანტორა

Т Э Ж Э

ცხიმის და ძვლების დამმუშავებელ მრეწველობის მოსკოვის სახელმწიფო ქარხნების გაერთიანება „ქირკოსტი" („Жиркость") დონის როსტოვი, მოსკოვის ქ. 75. ტელ. 30—54.

ყიდის დონის როსტოვის საწყობიდან: საპონს ხელის, პარფიუმერიას და კოსმეტიკას მაქსიმალური შეღავათით ახალი პრეისკურანტით; საოჯახო საპონს, ქარტოფილის სანთლებს, გლიცერინს ტეხნიკურს და ქიმიურს, ალზარინის ზეთს და ტრესტის წარმოების სხვა პროდუქტებს.

ნის. 1489. 3—1

მიხა ცოდრიშვილის

სახელობის

შინამრეწვ. ხელოსანთა საზოგადოების

კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი № 66)

ყოველ დღე კინო, წარმოდგენები, ლოტო, ბილიარდი და სხვა გასართობები.

კლუბში მოწყობილია სამკითხველო და ლენინის კუთხე. საღამოობით უკრავს სასულე ორკესტრი.

ბაღი გამშვენიერებულია და განათებულია

კლუბთან გახსნილია

ბუფეტი-რესტორანი

აზიური და ევროპიული საჭმელებით.

ფასები ხელმისაწვდომია

საუცხოვო კუთხე დასასვენებლად.

ნის. № 1323—25—23

თფილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ ა. წ. 20 ივლისს დღის 2 საათზე საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სამსონ მეთოდეს ძე ენუქიძის კუთვნილი უძრავი ქონება ჩერქეზიშვილის ქუჩაზე № 217, რომელიც შესდგება ერთ სართულიან ქვის სახლისაგან 4 ოთახით და სამზარეულოთი, აღმშენებელთა კავშირის პრეტენზიის 370 მანეთით დასაკმაყოფილებლად თფილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლის თანახმად. სახლი შეფასებულია 2400 მანეთად, რომელი ფასიდანაც დაიწყობა ვაჭრობა. საჯარო ვაჭრობა ეს დანიშნულია მეორეთ, რის გამო ვაჭრობა შეიძლება დაიწყოს შემოძლეულ ფასიდან. ვაჭრობა მოხდება სახლის მდებარეობის ადგილზე, სადაც შეიძლება ნახვა ვაჭრობის დღეს.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარუდგინონ სასამართლოს აღმასრულებელს საოლქო სასამართლოს ნოტარიალური განყოფილების და სათანადო კომუნალურ განყოფილების ცნობა შესახებ იმისა, რომ არც ისინი, არც მათი ოჯახობა და არც არა სრულ წლოვანი შვილები არ ფლობენ თფილისში რაიმე შენობას და აგრეთვე წარმოადგინონ ხელწერილი, რომ არც ისინი, არც ზემოხსენებული ოჯახის წევრები არ ფლობენ შენობებს სხვა რომელიმე ადგილას.

სასამართლოს აღმასრულებელი ლ. არღუთინსკი.

1—1 1953

ამიერ-კავკასიის საბაჟო სამმართველო

18 ივლისს, 12 საათზე ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

ერთსართულიან, რკინის სახურავით ქვის 3 ოთახიან სახლების ასაშენებლად სანაპირო საბაჟო პოსტებისათვის სოფელ ორჯომაშნი (10 ვერსის მანძილზე ახალციხიდან). ერთი ლენინაკანის მახლობლად საზღვარზე და ერთიც სოფ. სიარის პირდაპირ ორ[illegible]უთის მახლობლად. მუშაობის იჯარით აღების პირობების ხარჯთაღრიცხვის და შენობების პროექტის გაცნობა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან 1 საათამდე, ამიერ-კავკასიის საბაჟო სამმართველოს არქიტექტორის კანცელარიაში.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განცხადების შემოტანასთან ერთად უნდა შეიტანოს საბაჟო სამმართველოს სალაროში საწინდარი ხარჯთაღრიცხვის თანხის 10 პროცენტის რაოდენობით.

ნ. 1493 2—1.

მუშათა ცენტრალური კლუბი დღეს, ხუთშაბათს 16 ივლისს,

სიმფონიური კონცერტი

ს. ა. სტოლერმანის ლოტბარობით

ნ. 1987 1—1

ბალანსი

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრ. კომიტეტისა

1925 წლის 1-ლი ივლისისათვის

აქტივი

№№ რიგ.	ანგარიშების სახელწოდება	ჯამი			
1.	ნაღდი საშუალებანი:				
	1) სალარო	103	94		
	2) ვალიუტა. . . .	667	30		
	3) სახელდახ. ან-შები.	6.524	63	7.295	87
2.	აქციები და პაიები			1.047	10
3.	მატერ. საშვალებ.:				
	1) საქონელი . . .	389.376	19		
	2) მოძრ. ქონება . .	24.028	47		
	3) უძრავი ქონება. .	77.880	—	491.284	66
4.	დებიტორები.			38.063	03
5.	საწარმოო დარგები.			12.475	99
6.	ფილიალები.			10,818	91
7.	საქვეანგარიშო პირნი.			3.592	04
8.	გარდამავალი თანხები.			4.260	24
9.	საერთო ხარჯები:				
	1) ცენტ. სამმართ. .	38.054	29		
	2) საქ. სასან. განყ. შენახვა.	56.971	99		
	3) გაცემ. დახმარება.	8.293	59		
	4) სხვადასხვა . . .	5.448	65	108.768	52
	ბალანსი. . .	—	—	677.606	86

პასივი

№№ რიგ.	ანგარიშების სახელწოდება	ჯამი			
1.	საკუთარი თანხები:				
	1) ძირითადი . . .	560.311	98		
	2) საამორტიზ. ფონდი	6.917	—	567.228	98
2.	კრედიტორები:				
	1) სესხი გირაოს ქვეშ	6.927	42		
	2) გაცემული თამასუქები . . .	6.651	60	13.579	02
3.	განსაკუთრებული დანიშნულების თანხები:			8.000	00
4.	შემოსავალი:				
	1) საწევრო გადასახადი	787	—		
	2) სამდლიური . . .	8.764	64		
	3) პროცენტული ანარიცხი და სხვა შემოსავალი . . .	79.246	72	88.798	36
	ბალანსი . .	—	—	677.606	36

საქ. წით. ჯვრის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. კიკალიშვილი.

პრეზიდიუმის წევრები: 1) გ. ნუცუბიძე. 2) ი. ქუთათელაძე.

ნ. 1492—1—1

მთავარი ბუხჰალტერი თ. გიგინეიშვილი.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს ეკონომიური განყოფილება

ამით აცნობებს ტვირთის პატრონებს

რომ თანახმად რკინის გზის მიმოზიდვის ცენტრალურ კომისიის დადგენილებისა ა/წ. 6—VI ოქმი № 25 ტვირთის ტრანსპორტისათვის ოცდა მეხუთე პარაგრაფით დაწესებული წესები შიძლების ხარჯებით ტვირთის გადმოსატვირთი 12 საათის ვადა ა/კ. რკ. გზის თბილისის სადგურისათვის საცდელად ა/წ. 20 ივლისიდან 1 სექტემბრამდე შემოკლებულია 8 საათამდე.

ა/კ. რ. გზის სამმართველოს ეკ. განყოფილების უფროსი (ხელის მოწერა)

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდ ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 26.

9205 25—

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ალიხანის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე საშ[illegible] ქესო ორგანოს ყველა გართულებანი) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—5

სასწრაფოდ საჭიროა

ორი კვირის ბავშვისათვის

ძიძა

მისამართი: გუდოვიჩის ქ. № 11

გეგეჭკორის ბინა ტელ. № 8.

2—2 1972.

ექიმი გ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.

25—10

ექიმი დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული

(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—5

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები, მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. მარჯანიშვილის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—5

ექიმი ბ. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8, პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

25—6

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. ცალკე: ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 18

შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

25—6

ექიმი ე. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

25—11

ექიმი ა. ს. ფურ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონტი).

შარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—6

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საბჭოთა ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. ქუჩ.

25—21

მანგლისი

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6— საათამდე. 25—20

ბალცევის აგარაკი, ბაღის მახლობლად

ექიმი გ. ი. შაპელნიკოვი

ელისაბედის ქ. № 7

სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.

მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.

25—10

წაღვერი

მედიცინის დოქტორი ა. ა. მოხელი

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკს № 5 (კოოპერატივის მახლობლად).

25—11 1793

პროფესორი გ. მ. მუხაძე

საზაფხულოთ გაემგზავრა ბორჯომში.

1960 25—3

ექიმი გ. გოლდშტეინი

იღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე ნიკოლოზის ქ. 32. სათვალეების არჩევა და თვალებზე მორჩენა უფასოთ საქ. სახელმწიფო მედვაპრობის განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 7, დღის 2—4 საათამდე. 25—18

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—13

დავკარგე თბილისის საფინანსოდან მოცემული 420 ვედრო ღვინის ჩამოსატანი მოწმობა № 1560 იასებ ბეგიაშვილის სახელზე. ჩ. გ.

1963 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 749. ეკატერინე იაშვილის სახელზე. ჩ. გ.

1985 1—1

დავკარგე კომპარტიის წევრობის მთლიანი პარტბილეთი № 495278 სოლომონ ასალოს ძე ჭანტურაძის სახელზე. ჩ. გ.

1986 1—1

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 89 ვალერიან ბურჭულაძის სახელზე. ჩ. გ.

1988 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი გიორგი მერებაშვილის სახელზე. ჩ. გ.

1989 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა ნადეჟდა და ნინა ლეჟავას სახელზე. № 1558 და № 1913. ჩ. გ.

1993 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 3990 არუთინ დემიროვის სახელზე. ჩ. გ.

1991 1—1

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4